პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 171 (10257)
ხუთშაბათი
21
ივლისი
1955 წ.

ფასი 20 კაპ.

სოციალისტური მრეწველობის ახალი მძლავრი აღმავლობის პროგრამა

საბჭოთა ადამიანები კანონიერი სიამაყის გრძნობით ხვდებიან სოციალისტური მრეწველობის წარმატებებს. მისი მუშაობის შედეგები და განუხრელი წინსვლის პერსპექტივები განსაზღვრულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებაში „მრეწველობის შემდგომი აღმავლობის, ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების ამოცანების შესახებ“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია, რომ პარტიის XIX ყრილობის შემდეგ განვლილ წლებში საბჭოთა კავშირის მრეწველობამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. მეხუთე ხუთწლიანი გეგმა სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის მხრივ შესრულდა 1955 წლის 1 მაისისათვის, ესე იგი 4 წელიწადსა და 4 თვეში. ეს საბჭოთა ხალხის დიდი გამარჯვებაა საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების განმტკიცებისათვის, კომუნიზმის გზით ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლისათვის ბრძოლაში.

მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების, მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისა და ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების საფუძველს შედგენს მძიმე მრეწველობა. ჩვენი მიღწევები მძიმე ინდუსტრიის განვითარების დარგში ცხადყოფენ სოციალისტური წყობილების ძირეულ უპირატესობებს კაპიტალისტური წყობილების წინაშე. წარმოების საშუალებათა წარმოება ჩვენს ქვეყანაში 1955 წლის დამლევს 1950 წელთან შედარებით გაიზრდება სულ ცოტა 84 პროცენტით და სსრ კავშირის მთელი სამრეწველო პროდუქციის 78 პროცენტზე მეტი იქნება. მნიშვნელოვნად გადიდდა თუჯისა და ფოლადის გამოდნობა, ქვანახშირისა და ნავთობის ამოღება. ომისშემდგომი დროის დიდი მიღწევაა გრანდიოზული ჰიდროელექტროსადგურების შენებლობა ვოლგაზე — კუიბიშევსა და სტალინგრადში — და ციმბირის მდინარეებზე. ჰიდროელექტროსადგურების სიმძლავრე, რომლებიც აქამდე შენდება ჩვენს ქვეყანაში, თითქმის ერთისამად გადაჭარბებს ყველა იმ ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრეს, რომლებიც 1954 წლის დამდეგს მუშაობდნენ. განუხრელად ვითარდება სამამულო მანქანათმშენებლობა. მანქანათმშენებლობის პროდუქციის საერთო მოცულობა 1955 წელს 1950 წელთან შედარებით დიდდება ერთიორად და მეტად, ხოლო 1940 წელთან შედარებით — 4,6-ჯერ.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად და მტკიცედ ახორციელებს ლენინურ კურსს — ყოველი ღონისძიებით ავითარებს და განამტკიცებს საბჭოთა სახელმწიფოს ინდუსტრიულ ძლიერებას, მხარების საგნების წარმოებასთან შედარებით უფრო სწრაფად ავითარებს წარმოების საშუალებათა წარმოებას, რომელიც გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების აუცილებელი პირობაა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მძიმე ინდუსტრია კვლავაც უნდა განვითარდეს სახალხო მეურნეობის სხვა დარგებზე სწრაფად. რაც უფრო მაღალი იქნება ჩვენს ქვეყანაში მძიმე მრეწველობის განვითარების დონე, რომელიც განსაზღვრავს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ აღმავლობას, მით უფრო სრულად შეეძლებთ დავაკმაყოფილოთ საბჭოთა ხალხის განუწყვეტლივ მზარდი მოთხოვნილებანი, მით უფრო სწრაფად შეექმნით მოხმარების საგნების ხიუხვეს და განვახორციელებთ სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლას. ამისათვის საჭიროა განუწყვეტლივ ვახორციელოთ ტექნიკური პროგრესი სახალხო მეურნეობაში, უფრო სრულად გამოვიყენოთ არსებული საწარმოო რეზერვები, განუხრელად გავადიდოთ მასების შემოქმედებითი ინიციატივა და ამ საფუძველზე მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების მკვეთრად გადიდებას.

აღნიშნა რა უდავო მიღწევები ტექნიკური პროგრესის განხორციელებაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა ამავე დროს მიგითითა, რომ ჩვენი მრეწველობის მთელ რიგ დარგებში ნელა ინერგება წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანესი მიღწევები, ცუდად იყენებენ საწარმოთა რეზერვებს. ამ და სხვა ნაკლოვანებათა მთავარი მიზეზებია ის, რომ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები სუსტად ხელმძღვანელობენ მუშაობას ახალი მანქანების, მექანიზმების, ხელსაწყოებისა და აპარატურის, ახალ სახელობათა მასალებისა და პროგრესული ტექნოლოგიის შესაქმნელად და ასათვისებლად, მრეწველობის ბევრი ხელმძღვანელი მუშაკი იჩენს ყოყოჩობას და თვითდამშვიდებას, კარგავს დაკისრებული საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მრეწველობის დარგში პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანად, სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების უზრუნველყოფასთან ერთად, მიიჩნია წარმოების ტექნიკური დონის ყოველი ღონისძიებით ამაღლება. ამ ამოცანის გადაჭრის ძირითადი პირობა უნდა იყოს ტექნიკური სრულყოფის ტემპების მკვეთრად გაძლიერება მრეწველობის ყველა დარგში ელექტროფიკაციის, კომპლექსური მექანიზაციისა და საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის, მაღალი წარმადობის უახლესი ჩარხების, მანქანებისა და აპარატების დანერგვის, წარმოების ტექნოლოგიის შედგმივი სრულყოფის, მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების ბაზაზე. პლენუმმა განსაზღვრა ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის ამოცანები არა მარტო საერთოდ მრეწველობაში, არამედ კონკრეტულად მის ისეთ სახიცოცხლოდ მნიშვნელოვან დარგებშიც, როგორიც არის მანქანათმშენებლობა, შავი და ფერადი მეტალურგია, ქვანახშირის, ნავთობის, ქიმიური მრეწველობა, ენერგეტიკა, სატყეო მრეწველობა, რადიოტექნიკური აპარატურის წარმოება და სხვები.

ჩვენი ქვეყნის საარსებო ინტერესები მოითხოვენ, რომ განუწყვეტლივ ვახორციელებდეთ ტექნიკურ პროგრესს სახალხო მეურნეობაში, უფრო სრულად ვიყენებდეთ მრეწველობის რეზერვებს, ვაღწევდეთ შრომის ნაყოფიერების მკვეთრ გადიდებას. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამრეწველო საწარმოთა სპეციალიზაციასა და კოოპერირებას, როგორც წარმოების ორგანიზაციის ეკონომიურად ყველაზე მიზანშეწონილ ფორმებს. ამჟამად ერთნაირი და ერთი ტიპის მექანიზმების, კვანძებისა და დეტალების წარმოება ხშირად გაფანტულია ბევრ არასპეციალიზებულ საწარმოში. დიდძალი სხმულისა და ნაჭედების, ლითონის ნაწარმისა და ინსტრუმენტის, მანქანების სათადარიგო ნაწილებისა და მოწყობილობის დამზადება ხშირად წარმოებს კუსტარული წესით, რაც იწვევს ლითონის გადახარჯვას; ნაწარმის გაძვირებას და დიდ დანაკარგს წარმოებაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაავალა სამინისტროებსა და უწყებებს აღმოფხვრან ეს ნაკლოვანებანი და უზრუნველყონ საწარმოთა ფართო სპეციალიზაცია მრეწველობაში, მასობრივ-ნაკადური წარმოების ორგანიზაცია და კოოპერირება.

პლენუმმა გამოავლინა სერიოზული ნაკლოვანებანი მრეწველობაში შრომის ორგანიზაციასა და ანაზღაურებაში და განსაზღვრა ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზები. ხელფასის ორგანიზაციაში საჭიროა თანმიმდევრულად განხორციელდეს მუშაკთა შრომის შედეგებით მათი მატერიალური დაინტერესების ლენინური პრინციპი. ამოცანა ის არის, რომ უზრუნველყოთ საწარმოებში გამომუშავების ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების ფართო გამოყენება, მაღალ დონეზე ავიყვანოთ შრომის ორგანიზაცია, ყველა მუშას შეუქმნათ პირობები მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის.

მძლავრი ძალა, რომელიც ამსხვრევს ძველ, ჩამორჩენილ ნორმებსა და მეთოდებს და ამყარებს შრომის ახალ, პროგრესულ ნორმებსა და მეთოდებს, არის სოციალისტური შეჯიბრება. სამეურნეო ხელმძღვანელების, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა ყოველ ღონისძიებით განავითარონ სოციალისტური შეჯიბრება, უკეთ უხელმძღვანელონ მას, უფრო ფართოდ გაავრცელონ მოწინავე გამოცდილება.

ახლა მთელ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად. მოსკოვის, ლენინგრადისა და სხვა სამრეწველო ცენტრების მოწინავე საწარმოთა კოლექტივები, რომლებიც აღფრთოვანებული არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებით, მაღალ სოციალისტურ ვალდებულებებს კისრულობენ საგეგმო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის, ტექნიკური პროგრესის ამოცანების განხორციელებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დიდი ამოცანები დასახა მრეწველობის მართვის სრულყოფისა და მის ხელმძღვანელ კადრებთან და სპეციალისტებთან მუშაობის გაუმჯობესების დარგში.

პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად უკანასკნელ დროს გაუმჯობესდა მრეწველობის მართვა. მაგრამ მმართველობის სტრუქტურა ჯერ კიდევ გაბერილია, მრავალსაფეხურიანია. ზოგიერთი სამინისტრო და უწყება არ იღებს ღონისძიებებს იმისათვის, რომ სამმართველო აპარატი წარმოებას მიუახლოოს. საწარმოო ბაზას მოწყვეტილია აგრეთვე ბევრი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება. ბევრი საწარმოს მუშაობის სერიოზული ნაკლია თვის განმავლობაში პროდუქციის არათანაბარი გამოშვება, რის შედეგადაც ეს საწარმოები მუშაობენ შეფერხებებით, მთლიანად ვერ იყენებენ საწარმოო სიმძლავრეებს. პარტია მოითხოვს გადაჭრით აღმოფხვრათ ეს ნაკლოვანებანი, სანამუშოდ შევახრულოთ საწარმოო გეგმები, თანმიმდევრულად განვახორციელოთ სახელმწიფო მართვის ლენინური პრინციპები, ყოველი ღონისძიებით გავაუმჯობესოთ მუშაობა მრეწველობის ხელმძღვანელ კადრებთან და სპეციალისტებთან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ საგეგმო დავალებს საერთოდ მრეწველობა და მეტი წილი საწარმოები წლითიწლობით არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც ასრულებენ. მაგრამ არიან ისეთი საწარმოები და მრეწველობის ცალკეული დარგებიც კი, როგორიც არის, მაგალითად, სატყეო და თევზის მრეწველობა, რომლებიც სახელმწიფო გეგმას ვერ ასრულებენ. ყოველთვის როდი სრულდება მოთხოვნები ნაწარმის ნომენკლატურის, ასორტიმენტისა და ხარისხის შესახებ. ჯერ კიდევ არ წარმოებს სათანადო მრძოლა ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის მომჭირნეობისათვის.

პლენუმმა დაავალა ყველა ჩვენს ორგანიზაციას უზრუნველყონ თვითეული საწარმოს მიერ სახელმწიფო გეგმის უთუო შესრულება დაწესებული ნომენკლატურისა და ასორტიმენტის პროდუქციის გამოშვებაში, ახალი ტექნიკის დანერგვაში და ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მიხედვით. პლენუმმა განსაზღვრა ჩვენს ქვეყანაში საწარმოო ძალების განლაგების ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებანი. პლენუმის გადაწყვეტილებაში ამომწურავი სიცხადითაა ნაჩვენები მრეწველობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონის ამაღლების გზები.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები მხურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ენერგიულად შეუდგნენ მათს განხორციელებას, ყოველ ღონისძიებას იღებენ სოციალისტური მრეწველობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის იმ პროგრამის განხორციელებლად, რომელიც პარტიამ შეიმუშავა.

„პრავდის“ 20 ივლისის მოწინავე

ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირი

ჟენევა, 19 ივლისი. (საკრესის სპეც. კორ.). დღეს დღისით გაიმართა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირის მეორე სხდომა. თავმჯდომარეობდა ე. ფორი.

ოთხი მთავრობის მეთაურებმა დაამტკიცეს დღის წესრიგი, რომელიც დღევანდელ სხდომაზე ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა შეიმუშავეს, და შეუდგნენ ამ დღის წესრიგის პირველი პუნქტის — გერმანიის საკითხის განხილვას.

ამ საკითხზე პირველი გამოვიდა ინგლისის პრემიერ-მინისტრი ა. იდენი. მან კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ თათბირზე წარმოდგენილ მთავრობათა თვალსაზრისებში, ყოველ შემთხვევაში, იმ საკითხზე, რომ გერმანია უნდა გაერთიანდეს, ბევრი რამ საერთოა.

თათბირის მონაწილეებისათვის, თქვა იდენმა, ცნობილია ინგლისის დელეგაციის აზრი გერმანიის გაერთიანების საკითხზე, რომელიც არა მარტო მნიშვნელოვანი, არამედ სასწრაფო საკითხიც არის. ინგლისის მთავრობამ ბერლინში წარმოადგინა გეგმა, ხოლო ახლანდელ თათბირზე ინგლისის დელეგაციამ ამ გეგმის დამატებით რამდენიმე აზრი გამოთქვა.

იდენმა თქვა, რომ მარშალმა ბულგანინმა გუშინ მეტად საინტერესო გაიცხადება გააკეთა. მან აღნიშნა, რომ მეტად ძვირფასია თვით ტონიც, რომლითაც გამსჭვალული იყო ბულგანინის განცხადება გერმანიის საკითხზე.

იდენმა შემდეგ განაცხადა, რომ სურს მიიღოს ბულგანინის განცხადების იმ ადგილის დაზუსტება, სადაც ნათქვამია, რომ კოლექტიური უშიშროების ეფექტიანი სისტემის დამყარება გერმანიის გაერთიანების წინაპირობაა.

იდენის სიტყვით, იგი შეშფოთებული იქნებოდა, საჭირო რომ გამხდარიყო უშიშროების იმ პაქტის შეთანხმება, რომელიც მთელ ევროპას და, რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებულ შტატებს მოიცავდა, მანამდე, სანამ მიღწეულ იქნებოდეს შეთანხმება გერმანიის გაერთიანების შესახებ. იდენმა აზრი გამოთქვა, რომ სრულიად ევროპის უშიშროების პაქტის დადება არ შეიძლება მიღწეულ იქნას მალე ევროპის კონტინენტზე მთელი რიგი საწინააღმდეგო თვალსაზრისების არსებობის გამო.

შეეხო რა წინადადებას, რომ გერმანიის თვითეული ნაწილი წარმოდგენილი იყოს ევროპის უშიშროების პაქტში ცალცალკე, იდენმა თქვა, რომ ამ მხრივ დიდი სიძნელეებია.

შემდეგ ინგლისის მთავრობის მეთაურმა თქვა, რომ მას უფრო მარტივად მიაჩნია ოთხი სახელმწიფოს და გაერთიანებული გერმანიის ურთიერთუშიშროების პაქტის პროექტი, რომელიც წარმოდგენილია თათბირზე.

დასასრულ იდენმა განაცხადა, რომ მას არა აქვს იმის პრეტენზია, რომ მისი წინადადება ყოვლისშემცველია, და განაცხადა, რომ მზად არის განიხილოს სხვა წინადადებებიც იმათ დამატებად, რომლებიც ინგლისის დელეგაციამ წარმოადგინა.

შემდეგ გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის მეთაური ნ. ა. ბულგანინი. მან თათბირს მოაგონა, რომ, იმ ოთხ საკითხს გარდა, რომლებიც შეტანილია თათბირის დღევანდელი სხდომის დღის წესრიგში, არის კიდევ სამი საკითხი, რომელთა შეტანა თათბირის დღის წესრიგში უნდა გადაწყვიტონ თვითონ მთავრობათა მეთაურებმა. ბულგანინმა თქვა, რომ მას საჭიროდ მიაჩნია სხდომის ბოლოს ილაპარაკოს ამ სამ საკითხზე. ნ. ა. ბულგანინმა გაიხსენა ეს საკითხები: პირველი — „ცივი ომის“ შეწყვეტა და სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცება, მეორე საკითხი — ნეიტრალიტეტის პოლიტიკა და მესამე — აზიისა და შორეული აღმოსავლეთის საკითხები.

შემდეგ ნ. ა. ბულგანინი გადავიდა გერმანიის საკითხზე. მან თქვა, რომ გერმანიის პრობლემის განხილვა არ შეიძლება, თუ ეს არ დაუკავშირეთ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციას და სამხედრო ბლოკებში მის მონაწილეობას. გერმანიის გაერთიანება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გზებით განვითარდება დასავლეთი გერმანია, გადაიქცევა იგი მილიტარისტულ სახელმწიფოდ, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სამხედრო დაჯგუფებებში, თუ არჩეულ იქნება განვითარების სხვა, მშვიდობისმოყვარული გზა, რომელიც შეეფერება გერმანელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს და გამოიწვევს გერმანიის როგორც მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს გაერთიანებას.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა აღნიშნა, რომ ახლანდელ ვითარებაში საბჭოთა მთავრობა ანგარიშს უწევს იმ ფაქტს, რომ დასავლეთი გერმანია შევიდა ჩრდილოეთ ატლანტიკის დაჯგუფებასა და დასავლეთ ევროპის კავშირში, ხოლო პარიზის შეთანხმებანი რატიფიცირებულია. ჩვენ ახლა არ ვაყენებთ პარიზის შეთანხმებათა გაუქმებისა და აღნიშნული დაჯგუფებებიდან დასავლეთ გერმანიის გამოსვლის საკითხს, განაცხადა ნ. ა. ბულგანინმა, რადგან ეს სრულიად არარეალური იქნებოდა.

შემდეგ მან აღნიშნა, რომ, რამდენადაც ჯერ კიდევ არ მომწიფებულა პირობები, რომლებიც შესაძლებელს გახდიან გერმანიის ერთიანობის აღდგენის განხორციელებას, ეს ამოცანა უნდა გადაიჭრას სხვანაირად, იგი უნდა გადაჭრას დრომ, თანდათანობით ნაბიჯ-ნაბიჯ.

ნ. ა. ბულგანინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის ამა თუ იმ ნაწილის ან მთელი გერმანიის შეყვანა ზოგიერთ სახელმწიფოთა დაჯგუფებებში, რომლებიც მიმართულია სხვა სახელმწიფოთა წინააღმდეგ, ხელს ვერ შეუწყობს სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცებას.

ამასთან დაკავშირებით თათბირზე ზოგიერთ გამოსვლაში დაისვა საბჭოთა კავშირის უშიშროების გარანტიების საკითხი.

ჩვენ გვსურს, თქვა ამის გამო ნ. ა. ბულგანინმა, გარკვეულობა შევიტანოთ გარანტიების საკითხში. წინადადება გარანტიების შესახებ გასაგებია, როცა ლაპარაკია სუსტ სახელმწიფოზე, რომელსაც სამხედრო მხრივ არ შესწევს უნარი დაიცვას თავი. ამ შემთხვევაში ლაპარაკობენ გარანტიებზე საბჭოთა კავშირისათვის. ცხადია, გასაგებია, რომ არც ერთ წინადადებას ამ მხრივ არავითარი საფუძველი არ გაჩნია.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა თქვა, რომ, მისი აზრით, საჭიროა გავითვალისწინოთ არსებული გარემოებანი და ვეძიოთ გადაწყვეტილებანი. დავიწყოთ, თქვა მან, იმით, რომ შევაჩერეთ დაძაბულობა ევროპაში შექმნილ სახელმწიფოების დაჯგუფებებს შორის. არ გავათავისუფლოთ რა ამ დაჯგუფებათა მონაწილე ქვეყნები იმ ვალდებულებათაგან, რომლებიც მათ უკისრიათ არსებული ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით, ჩვენი აზრით, საჭიროა შევთანხმდეთ იმაზე, რომ აღნიშნული ქვეყნები თავს შეიკავებენ შეიარაღებული ძალის გამოყენებისაგან ერთმანეთის წინააღმდეგ და ყველა დავას მშვიდობიანი საშუალებებით გადაჭრიან. ეს იქნებოდა პირველი ნაბიჯი ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის გზაზე. ამ საქმეში, გერმანიის გაერთიანებამდე, გერმანიის ორივე ნაწილის — გერმანიის ფედერალური რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის — მონაწილეობა ხელს შეუწყობდა სახელმწიფოთა შორის უნდობლობის აღმოფხვრას, ხოლო ამით შექმნიდა გერმანიის პრობლემის საბოლოო მოწესრიგების წინაპირობებს. ნეორე მხრივ, გერმანიის ორივე ნაწილის მონაწილეობა ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნაში ხელს შეუწყობდა მათს დაახლოებას ერთობლივი მუშაობის ნიადაგზე ევროპის მშვიდობის განმტკიცებაში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მშვიდობისმოყვარულ და დემოკრატიულ საწყისებზე გერმანიის ერთიანობის მისაღწევად.

შემდგომი ნაბიჯი იქნებოდა, განაგრძო ნ. ა. ბულგანინმა, სახელმწიფოთა არსებული დაჯგუფებების ლიკვიდაცია და მათი შეცვლა სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემით. ამრიგად, გერმანიის გაერთიანებისათვის ისეთი დაბრკოლება, როგორიც არის აღნიშნულ სამხედრო დაჯგუფებებში დასავლეთ გერმანიის მონაწილეობა, მოისპობოდა და შეიქნებოდა გერმანიის გაერთიანებისათვის ხელსაყრელი ატმოსფერო.

აღნიშნა რა, რომ თვით ცხოვრება გვიკარნახებს, რომ საჭიროა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის დაახლოება, რაც საუკეთესოდ შეუწყობდა ხელს გერმანიის გაერთიანების ამოცანის მიღწევას, ნ. ა. ბულგანინმა თქვა, რომ საბჭოთა მთავრობა მზად არის, თავის მხრივ, ამ მიმართულებით გააკეთოს ყოველივე, რაც მასზეა დამოკიდებული.

დასასრულ ნ. ა. ბულგანინმა აღნიშნა, რომ თათბირზე გამოსვლებში გამოთქმული იყო საყურადღებო ნოსაზრებანი სრულიად გერმანიის არჩევნების მოწყობის წესის შესახებ, რასაც

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ДЕПЕША

მის აღმატებულებას

გატონ რენე კოჯის

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს

პარიზი

გთხოვთ, ბატონო პრეზიდენტო, მიიღოთ ჩემი მოლოცვა, აგრეთვე გადასცეთ მილოცვა და საუკეთესო სურვილები ფრანგ ხალხს ეროვნული დღესასწაულის გამო.

ვუსურვებ საფრანგეთის რესპუბლიკას კეთილდღეობასა და აყვავებას და ჩვენი ქვეყნების ხალხებს ტრადიციული მეგობრობის განმტკიცებას.

კ. ვოროშილოვი,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

მოსკოვი, კრემლი.
1955 წლის 13 ივლისი.

მის აღმატებულებას

მარშალ ვოროშილოვს

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მოსკოვი.

დიდად მასიამოვნა წერილმა, რომელიც თქვენმა აღმატებულებამ გამომიგზავნა 14 ივლისის გამო, გულითად სურვილებს გითვლით პირადად თქვენ და ბედნიერ მომავალს ვუსურვებ საბჭოთა კავშირის ხალხებს.

რენე კოტი.

პარიზი,
1955 წლის 16 ივლისი.



ჟენევა, 1955 წლის 18 ივლისი. ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირი. სურათზე: სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობათა დელეგაციები თათბირის დარბაზში.

ფოტო ა. უსტინოვისა და ვ. სავოსტიანოვისა.

ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირი

(დასასრული)

უეჭველად მნიშვნელობა აქვს და განხილულ უნდა იქნას შესაბამის მომენტში, ამასთან განსაკუთრებული ყურადღებით და პატივისცემით უნდა მოვეპყროთ თვით გერმანელების აზრსა და წინადადებებს. ნ. ა. ბულგანინმა იმედი განათქვა, რომ თვალსაზრისების შეთანხმება საკითხებზე, რომლებიც სრულიად გერმანიის არჩევნების მოწყობის წესს შეეხება, სიძნელეს არ წარმოადგენს, რამდენადაც მიღებული იქნება ერთობლივი ღონისძიებანი საჭირო ვითარების შესაქმნელად.

ნ. ა. ბულგანინის შემდეგ გამოვიდა დ. ეიზენჰაუერი, რომელმაც გამოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის თვალსაზრისი.

მან უწინარეს ყოვლისა ილაპარაკა ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის (ნატო) საკითხზე. მისი აზრით, ეს კავშირი მშვიდობის იარაღია. მოაგონა რა თათბირს, რომ 1950 წლის დეკემბერში თუ 1951 წლის იანვარში იგი ევროპაში დაბრუნდა როგორც ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის შეიარაღებული ძალების შტაბ-ბინის მეთაური, ეიზენჰაუერმა თქვა, რომ ეს პოსტი მან იმიტომ მიიღო, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირი მშვიდობის იარაღად ჩაეჩნდა. მან დასძინა, რომ ომები საკმაოდ უნახავს და არასოდეს არ დათანხმდებოდა მიეღო სარდლობა, რომ ფიქრობდეს, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირი მშვიდობის საქმეს კი არ ემსახურება, არამედ ომს ამზადებს. მან განაცხადა, რომ ხელშეკრულებანი, რომლებსაც ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ქვეყნები ქნიან, მიმართულია აგრესიის წინააღმდეგ — გარედან აგრესიის ან თუნდაც ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების მხრივ აგრესიის წინააღმდეგ.

შეეხო რა ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში დასავლეთ გერმანიის შეყვანას, ეიზენჰაუერმა თქვა, რომ არსებობენ გარკვეული შეზღუდვანი მისი სამხედრო პოტენციალისა და მისი შეიარაღებული ძალებისა, რომლებსაც არაავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ მოქმედება ცალკე, დამოუკიდებლად.

აღნიშნა რა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ნატოს მონაწილე არიან, ეიზენჰაუერმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არასოდეს არ გახდებიან მხარედ აგრესიულ ომში და რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს სწამთ მოლაპარაკება, მეგობრული თათბირები.

შემდეგ გამოსულმა ე. ფორმა განაცხადა, რომ სისტემა, რომელიც საბჭოთა დელეგაციამ წამოაყენა, არათუ რაღაც ვადით გადადებს გერმანიის გაერთიანებას, არამედ ამ ვადის განსაზღვრის შესაძლებლობასაც კი არ იძლევა. ფორის აზრით, იმისათვის, რომ ასეთ შეფერხებას დავითანხმოთ, საჭიროა პირობები, რომლებიც ახლა არ არსებობს. ერთ-ერთი ასეთი პირობა ის არის, რომ იყოს ამ ვადის განსაზღვრის სურვილი, რადგან თუ ეს არ იქნა, მაშინ გერმანიის გაერთიანება გადაიდება დაუსრულებლივ და ამრიგად გამორიცხული იქნება.

ფორმა განაცხადა, რომ რამდენადაც აღდგენილი გერმანია დარჩება ატლანტიკის შეთანხმებათა სისტემაში და, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ეს შეთანხმებანი თავდაცვითია და რომ დასავლეთის სახელმწიფოები სსრ კავშირისაგან არ მოითხოვენ, რომ იგი დაემყაროს ამ შეთანხმებებს, შეიძლება იდენის გამოთქმული წინადადების საფუძველზე მივაღწიოთ გერმანიის აღდგენის საკითხის უფრო მალე გადაჭრას.

სხდომის ბოლოს ნ. ა. ბულგანინმა აღნიშნა, რომ მას ძვირფასად და საარგებლოდ მიაჩნია აზრთა მომხდარი გაზიარება, და ზოგიერთი შენიშვნა გაუკეთა იმას, რაც ნათქვამი იყო ნატოს საკითხზე. ნ. ა. ბულგანინმა მადლობა გადაუხადა პრეზიდენტ ეიზენჰაუერს მეტად მნიშვნელოვანი განცხადებისათვის ომის საკითხში მისი პოზიციისა და მისი მთავრობის პოზიციის შესახებ. ნ. ა. ბულგანინმა თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ამ განცხადებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხთა მშვიდობის საქმისათვის.

ჩვენ, საბჭოთა ხელმძღვანელები, განაცხადა ნ. ა. ბულგანინმა, ბ-ნ ეიზენჰაუერს ვიცნობთ როგორც მხედართმთავარსა და ჯარისკაცს და როგორც დიდი სახელმწიფოს პრეზიდენტს და გვჯერა მისი განცხადებანი. მაგრამ მის შემდეგ ევროპაში იყვნენ სხვა სამხედრო ლიდერები, რომელთა განცხადებანი ჩვენთვის ყველასათვის კარგად ცნობილია. ისინი დაშორებული არიან ბ-ნ ეიზენჰაუერის კეთილშობილურ სიტყვებს. მე საჭიროდ მიმაჩნია ეს ვთქვა აქ.

შემდეგ ნ. ა. ბულგანინმა მოიყვანა მაგალითი, რომელიც ცხადყოფს ნატოს საკითხში საბჭოთა კავშირის შეშფოთებისა და (იფრთხილის მთელ საფუძვლიანობას. როგორც ცნობილია, სსრ კავშირი შეეცადა შესულიყო ამ ორგანიზაციაში. მაგრამ ამაზე მას უარი უთხრეს. ამან ერთხელ ზედმეტად დაადასტურა ნატოს ნამდვილი მიზნები, და სსრ კავშირმა გამოიტანა დასკვნა, რომ საქმე ეხება ნატოს არა მარტო იმ ამოცანებს, რომლებზეც აქ ლაპარაკობდნენ. რაც შეეხება ვარშავის პაქტს, იგი მართლაც თავდაცვითია, რადგან მას შემდეგ შეიქმნა, რაც ნატოს საქმიანობა გაჩაღდა.

სხდომის ბოლოს მთავრობათა მეთაურებმა გადაწყვიტეს, რომ გერმანიის საკითხის განხილვა უნდა გაგრძელდეს ოთხი საგარეო საქმეთა მინისტრის ხვალინდელ სხდომაზე, რათა მთავრობათა მეთაურები უფრო გვიან დაუბრუნდნენ დისკუსიას გერმანიის საკითხზე.

ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების შემდეგი სხდომა გაიმართება 20 ივლისს ნაშუადღევის 4 საათზე. საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომა გაიმართება დილით.

ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომა

ჟენევა, 19 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს დილით სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრები — ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირის მონაწილენი — თავიანთ პირველ სხდომაზე შეიკრიბნენ.

სხდომაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მხრივ ვ. მ. მოლოტოვი, ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ — ჯ. დალესი, ინგლისის მხრივ — ჰ. მაკმილანი და საფრანგეთის მხრივ ა. პინე. სხდომას დაესწრნენ აგრეთვე ოთხი დელეგაციის მრჩევლები და ექსპერტები. განიხილეს მთავრობათა მეთაურების თათბირის დღევანდელი დღის სხდომის დღის წესრიგის საკითხი.

მინისტრებმა ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მთავრობათა მეთაურების დღევანდელი სხდომის დღის წესრიგში შეტანილ უნდა იქნას ოთხი საკითხი, რომლებზეც ლაპარაკი იყო ოთხივე სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების განცხადებებში, რომლებიც გუშინდელ სხდომაზე გაკეთეს, სახელდობრ: 1) გერმანიის საკითხი, 2) ევროპის უშიშროების საკითხი, 3) განიარაღების საკითხი და 4) დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის კონტაქტის განვითარების საკითხი.

მინისტრები აგრეთვე შეთანხმდნენ, რომ საკითხი დღის წესრიგში იმ სხვა პრობლემების შეტანის შესახებ, რომლებიც წამოყენებული იყო მთავრობათა მეთაურების გუშინდელ სხდომაზე გაკეთებულ განცხადებებში, გადასაჭრელად გადაეცემათ მთავრობათა მეთაურებს.

ჟენევა, 20 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს დილით გაიმართა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მეორე სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ვ. მ. მოლოტოვმა, ჯ. დალესმა, ჰ. მაკმილანმა და ა. პინემ.

სხდომათა დარბაზში იყვნენ ოთხი დელეგაციის მრჩევლები და ექსპერტები. თავმჯდომარეობდა ჰ. მაკმილანი.

საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს შეთანხმებული გადაწყვეტილება — რჩევა მისცენ ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურებს — განიხილონ თავიანთ დღევანდელ სხდომაზე დღის წესრიგის მეორე საკითხი — ევროპის უშიშროების საკითხი.

საუზმე საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ე. ფორთან

ჟენევა, 19 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). 19 ივლისს საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ე. ფორმა საუზმე გამართა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირის მონაწილე საბჭოთა კავშირის, ამერიკისა და ინგლისის დელეგაციების პატივსაცემად.

საუზმეზე იყვნენ: საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მეთაური ნ. ა. ბულგანინი, საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრები ნ. ს. ხრუშჩოვი, ვ. მ. მოლოტოვი, გ. კ. ჟუკოვი, ა. ა. გრომიკო.

საუზმეზე იყვნენ: ინგლისის დელეგაციის მეთაური ა. იდენი, ინგლისის დელეგაციის წევრები ჰ. მაკმილანი, ა. კირკპატრიკი, გ. კაჩია; ამერიკის დელეგაციის წევრები — ჯ. ფ. დალესი, რ. ბოვი, გ. ფლეგერი.

საფრანგეთის მხრივ საუზმეზე იყვნენ ა. პინე, ა. ბერარი, ჟ. ლალუა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა საუზმე გამართა ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ინგლისის დელეგაციათა პატივსაცემად

ჟენევა, 20 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა საუზმე გამართა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირზე ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ინგლისის დელეგაციათა პატივსაცემად.

საუზმეზე იყვნენ: ინგლისის დელეგაციის მეთაური ინგლისის პრემიერ-მინისტრი ა. იდენი, ინგლისის დელეგაციის წევრები ჰ. მაკმილანი, უ. ჰეიტერი, ა. კირკპატრიკი, ნ. ბრაუნჯონი, საფრანგეთის დელეგაციის მეთაური საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ე. ფორი, საფრანგეთის დელეგაციის წევრები ა. პინე, ე. დენერი, ე. დე კრუი-შანელი, ჟ. სუტუ, ამერიკის დელეგაციის წევრები ჯ. დალესი, ლ. ტომპსონი, გ. სტასენი, ნ. როკფელერი, დ. ჰეგერტი, დ. ანდერსონი.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ: ნ. ს. ხრუშჩოვი, ვ. მ. მოლოტოვი, ა. ა. გრომიკო, ვ. ს. სემიონოვი, გ. ნ. ზარუბინი, ი. ა. მალიკი, ს. ა. ვინოგრადოვი.

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის აღსანიშნავად

24 ივლისი სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეა. მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება ამ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის აღსანიშნავად. ქალაქებში, სოფლებსა და ჯარის ნაწილებში კითხულობენ ლექციებსა და მოხსენებებს სამამული ფლოტის სახელოვანი ისტორიის შესახებ, დიდი სამამულო ომის წლებში სამხედრო მეზღვაურთა გმირობის შესახებ.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის აღსანიშნავად ფლოტებსა და ფლოტილიებში ეწყობა საზაფხულო სპარტაკიადები. ეწყობა გუნდური და პირადი პირველობა ცურვაში, წყალში ხტომაში, წყალბურთში, ნიჩბოსნობაში, იალქნიან სპორტში, ტანვარჯიშში, სროლაში, მძლეოსნობასა და სხვა სახეობის სპორტში. არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მოსკოვის საქალაქო კომიტეტი ხიმკის წყალსაცავში აწყობს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების კანჯოთა გუნდების ტრადიციულ შეჯიბრებას.

საუბარი სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის მოამზადებელ კომისიის თავმჯდომარესთან ადმირალ ნ. ე. ბასისტისთან

სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს მოსკოვში, ხიმკის წყალსაცავში გაიმართება არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრთა და სამხედრო მეზღვაურთა წყალჯომარდობის დღესასწაული. დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებენ ხომალდები, კანჯოები, სკუტერები. ეწყობა სპორტსმენების — სამხედრო მეზღვაურების, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრებისა და ქალაქ მოსკოვის ფიზკულტურელთა მასობრივი ცურვა. საბჭოთა კავშირის უძლიერესი სპორტსმენები ცხადყოფენ თავიანთ ოსტატობას ცურვაში, კოშკურიდან და ტრამპლინიდან წყალში ხტომაში. დიდ ინტერესს გამოიწვევს ჩვენი ქვეყნის ორი უძლიერესი გუნდის მატჩი წყალბურთში. საჩვენებელ შეჯიბრებებში, სკუტერისტთა შეჯიბრებებში, ნიჩბოსანთა ესტაფეტებში მონაწილეობას მიიღებენ დედაქალაქის საუკეთესო სპორტსმენები.

დღესასწაული წყალჯომარდობის სადგურ „დინამოსა“ და ხიმკის წყალსაცავში დამთავრდება სხვადასხვა კლასის უამრავი იახტის გავლით. (საკდესი).

მოსკოვიდან გაემგზავრა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პრეზიდენტი

18 ივლისს საღამოს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ხო ში მინის მეთაურობით.

ვიეტნამის დელეგაციამ, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა საბჭოთა მთავრობის მოწვევით, მოსკოვში ექვს დღეს დაჰყო. საბჭოთა დედაქალაქი გულღიად და გულითადად შეხვდა ვიეტნამელი ხალხის გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს პრეზიდენტ ხო ში მინსა და მთავრობის დელეგაციის წევრებს. ყოველი დღე, რომელიც ვიეტნამელმა სტუმრებმა მოსკოვში გაატარეს, ახალი ძალით ცხადყოფდა და ადასტურებდა საბჭოთა ადამიანების გულწრფელ, ძმურ გრძნობებს გმირი ვიეტნამელი ხალხისადმი, რომელმაც ძნელი ბრძოლით დაიცვა ეროვნული დამოუკიდებლობა, თავდადებით აღადგენს თავისი ქვეყნის ეკონომიკას, ავითარებს ეროვნულ კულტურას, თანმიმდევრულად ახორციელებს დემოკრატიისა და მშვიდობის პოლიტიკას.

ყველგან, სადაც უნდა ყოფილიყო ამ დღეებში ვიეტნამის თავრობის დელეგაცია, მოსკოველები გულმხურვალედ იღებდნენ მას. ი. ბ. სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხნის საამქროებში, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პავილიონებში, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიტორიებში, პიონერთა ბანაკში, თეატრებში საბჭოთა ადამიანები — საზოგადო მოღვაწეები, მუშები, ინტელიგენცია, მოსწავლე ახალგაზრდობა სიხარულით, გულწრფელად, დიდი სიყვარულით მიესალმებოდნენ პრეზიდენტ ხო ში მინსა და ვიეტნამის თავრობის დელეგაციის წევრებს.

ასევე გულთბილად გააცილა პრეზიდენტი ხო ში მინი და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის თავრობის დელეგაციის წევრები საბჭოთა დედაქალაქმა 18 ივლისს და საუკეთესო სურვილები გადასცა ვიეტნამელ ხალხს.

აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, შეიკრიბა მოსკოვის მშრომელთა ხუთი ათასამდე წარმომადგენელი. ათასობით მოსკოველი, რომლებიც ქალაქის ქუჩებში იყვნენ, მეგობრულად მიესალმებოდა პრეზიდენტ ხო ში მინსა და დელეგაციის წევრებს, როცა ისინი აეროდრომისაკენ მიდიოდნენ. გაისმოდა შეძახილები საბჭოთა და ვიეტნამელი ხალხების მეგობრობის პატივსაცემად, პრეზიდენტ ხო ში მინის პატივსაცემად.

პრეზიდენტი ხო ში მინი და მისი თანმხლები პირები აეროდრომზე გააცილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა, ამხანაგებმა ლ. მ. კაგანოვიჩმა, გ. ბ. მალენკოვმა, ა. ი. მიკოიანმა, მ. გ. პერვუხინმა, მ. ა. სუსლოვმა, ბ. ნ. პოსპელოვმა, დ. ტ. შეპილოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეებმა შ. მ. არუშანიანმა და მ. ბ. ტარასოვმა, სსრ კავშირის მინისტრებმა ვ. ბ. ელიუტინმა, ვ. ბ. ზოტოვმა, ი. გ. კაბანოვმა, ნ. ა. მიხაილოვმა, ბ. ი. პარშინმა, დ. ი. რაიზერმა, ნ. ს. რიჟოვმა, ა. გ. შერემეტიევმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა ა. მ. ვასილევსკიმ, საკდესის პასუხისმგებელმა ხელმძღვანელმა ნ. გ. პალგუნოვმა, ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსმა კ. ი. კოვალმა, სსრ კავშირის მინისტრების მოადგილეებმა ს. ვ. კალჩენკომ, ვ. ვ. კუზნეცოვმა, ბ. ს. კუჩუმოვმა, ავიაციის მარშალმა ს. ი. რუდენკომ, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ა. იასნოვმა, საბჭოთა კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ა. ა. ლავრიშევმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილემ ბ. თ. გორკინმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების განყოფილების გამგემ ბ. მ. ვოლკოვმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნებმა ი. ტ. მარჩენკომ, ვ. ი. პროხოროვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელმა გ. ი. ფომინმა, ქალაქ მოსკოვის კომენდანტმა გენერალ-მაიორმა ი. ს. კოლესნიკოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა, საბჭოთა და უცხოელმა ჟურნალისტებმა.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია გააცილეს სსრ კავშირში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს დიპლომატიურმა შემადგენლობამ, სსრ კავშირში აკრედიტებულმა დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურებმა.

...აეროდრომზე მისულ პრეზიდენტ ხო ში მინს შეხვდა საპატიო ყარაულის უფროსი და პატაკი მისცა. გაისმის ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. პრეზიდენტმა ხო ში მინმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა ჩამოუარეს საპატიო ყარაულს. შემდეგ ხო ში მინი გამოეთხოვა სსრ კავშირის მინისტრებს, საბჭოთა საზოგადო მოღვაწეებს, საელჩოებისა და მისიების მეთაურებს, მოსკოველ მშრომელთა წარმომადგენლებს. გამცილებლებს გამოეთხოვნენ ვიეტნამის თავრობის დელეგაციის სხვა წევრებიც.

პრეზიდენტი ხო ში მინი მიკროფონთან მიდის და სიტყვას ამბობს.

პრეზიდენტ ხო ში მინის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის თავრობის დელეგაციამ, რომელმაც საბჭოთა კავშირი ინახულა, თავისი ამოცანა შეასრულა და დღეს სამშობლოში მიემგზავრება.

საბჭოთა კავშირში ჩვენ გულითადად და გულმხურვალედ მიგვიღეს, როგორც ღვიძლი ძმები. ჩვენ ძლიერ ნასიამოვნები ვართ. წასვლისას სულით და გულით ვუხდით მადლობას საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა თავრობასა და საბჭოთა ხალხს მათი მხურვალე გრძნობებისათვის, რომლებიც ჩვენდამი და ვიეტნამელი ხალხისადმი გამოიჩინეს.

ჩვენ დავათვალიერეთ ბევრი დიდი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო მშენებლობა, ვიყავით მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პიონერთა საზაფხულო ბანაკში.

ძლიერ მოხარული ვიყავით დაგვედასტურებინა, რომ საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონე დღითიდღე სულ უფრო მაღალი ხდება და რომ საბჭოთა ხალხის ძალები მეტად დიდია; ამ ძალებით იგი უეჭველად წარმატებით დაიცავს მშვიდობას მთელ მსოფლიოში და ააშენებს კომუნიზმს.

ჩვენ მოლაპარაკება გვქონდა საბჭოთა მთავრობასთან და ორივე მხარე დავადექით ერთსულოვან აზრს ბევრ საერთაშორისო საკითხზე. ჩვენ გამსჭვალული ვართ მისწრაფებით კვლავაც განვავითაროთ მეგობრული ურთიერთობა ჩვენი ქვეყნების ხალხთა შორის. საბჭოთა მთავრობა და საბჭოთა ხალხი, რომლებიც წინათ თანაუგრძნობდნენ და მხარს უჭერდნენ ვიეტნამელ ხალხს, ახლა კიდევ უფრო კონკრეტულად ეხმარებიან ვიეტნამელ ხალხს მის ბრძოლაში მშვიდობის განმტკიცებისათვის, ვიეტნამის ერთიანობის განხორციელების, მთელ ვიეტნამში დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის მიღწევისათვის. ეს უანგარო დახმარება კიდევ უფრო განამტკიცებს ვიეტნამელი ხალხის რწმენასა და ძალებს, აგრეთვე ხელს შეუწყობს იმ უდიდესი ამოცანების შესრულებას, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას ეროვნული მეურნეობის უსწრაფესად აღდგენის საქმეში, რათა ავამაღლოთ ხალხის ცხოვრების დონე და გავადიდოთ მისი ძალები.

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ დღეიდან ვიეტნამელი და საბჭოთა ხალხების თანამშრომლობა კიდევ უფრო განმტკიცდება, ხოლო მათი ურღვევი მეგობრობა სულ უფრო გაძლიერდება.

ჩვენ ერთხელ კიდევ სულით და გულით ვუძღვნით მადლობას საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობასა და საბჭოთა ხალხს გულწრფელი გრძნობებისათვის, რომლებიც მათ ჩვენი დელეგაციისადმი გამოიჩინეს.

გაუმარჯოს ვიეტნამელი და საბჭოთა ხალხების ურღვევ მეგობრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის ბურჯს!

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

• • •

აეროდრომზე მყოფნი მხურვალედ უკრავენ ტაშს პრეზიდენტ ხო ში მინს, მთავრობის დელეგაციის წევრებს.

პრეზიდენტი ხო ში მინი, დელეგაციის წევრები, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები თვითმფრინავებისაკენ გაემართნენ.

...მაგრად ართმევენ ხელს, მეგობრულად ეხვევიან ერთმანეთს. პიონერებმა ხო ში მინსა და დელეგაციის წევრებს ყვავილების თაიგულები მიართვეს. პრეზიდენტი ხო ში მინი და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წევრები ადიან თვითმფრინავებზე. ისინი ალერსით უქნევენ ხელს გამცილებლებს.

საღამოს 8 საათსა და 45 წუთზე თვითმფრინავები მიწას მოსწყდნენ და აღმოსავლეთისაკენ გაემართნენ.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის თავრობის დელეგაციას თან ახლავან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის თანამშემწე კ. ა. კოჩეტკოვი, აგრეთვე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ნგუენ ლონგ ბანგი.

(საკდესი).

ამერიკის სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია სსრ კავშირში

მოსკოვში სამ დღეს იმყოფებოდა ამერიკის სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია, რომელიც სსრ კავშირში ჩამოვიდა სოფლის მეურნეობის გასაცნობად. ამ ხნის განმავლობაში დელეგაციის წევრები ნებრასკის შტატის უნივერსიტეტთან არსებული სასოფლო-სამეურნეო კოლეჯის დეკანის უილიამ ლამბერტის მეთაურობით ეცნობოდნენ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას, დათვალიერეს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი, უნივერსიტეტის შენობა ლენინის გორაზე, იყვნენ დიდ თეატრში.

18 ივლისს ამერიკელმა სტუმრებმა დაათვალიერეს მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობა „ლუჩ“ და საბჭოთა მეურნეობა „გორკი II“.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ტ. ს. პრიახინმა დელეგაციის წევრებს უამბო არტელის მუშაობაზე. სტუმრებმა ბევრი კითხვა მისცეს მას. მათ აინტერესებდათ საადრეო ბოსტნეულის მოყვანა, მეცხოველეობის ფერმების მუშაობა, კოლმეურნეობის პროდუქციის რეალიზაციისა და მეურნეობაში შრომის ანაზღაურების წესი. შემდეგ დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს პიროტეყვის სადგომი, კოლმეურნეობის საკვებსამზარეულო, კვალსათბურები და სათბურები, იყვნენ საბავშვო ბაგასა და ბაღში.

მეურნეობის დათვალიერების შემდეგ დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა — ჯულიუს კლაინერმა „შთაბეჭდილების წიგნში“ ჩაწერა: „მე დელეგაციის ერთადერთი წევრი, რომელიც ვიცნობდი მეფის რუსეთის მეურნეობას, სასიხარულოდ ვარ გაკვირვებული იმით, რაც თქვენ გაგიკეთებიათ. მე მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება მივიღე თქვენი კოლმეურნეობისაგან. ყველა კოლმეურნე ბედნიერად გამოიყურება და არაფრით არ არის შეშფოთებული“.

საბჭოთა მეურნეობაში „გორკი II“ დელეგაციას მიესალმა დირექტორის მოადგილე ვ. მ. დობროხოტოვი, რომელიც მეურნეობაში 20 წელიწადზე მეტია მუშაობს. საბჭოთა მეურნეობაზე საუბრის შემდეგ მან სტუმრებს აჩვენა მეცხოველეობის ფერმა, რძის ქარხანა, საფრინველე, სადაც ერთდროულად გასასუქებლად თითქმის 10 ათასი ქათამია.

საბჭოთა მეურნეობიდან წასვლის წინ დელეგაციის მეთაურმა უილიამ ლამბერტმა „შთაბეჭდილების წიგნში“ შემდეგი ჩანაწერი გააკეთა: „საბჭოთა მეურნეობის „გორკი II“ მუშაკებს. ამერიკის დელეგაციას დიდხანს ემახსოვრება თქვენი მეურნეობის მეტად სასიამოვნო და საგულისხმო დათვალიერება. ჩვენ აქ ვნახეთ დიდი წველადობის ძროხების ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ჯოგი, როგორიც სადმე შეიძლება ნახო. დიდი ინტერესით ვადევნებდით თვალყურს თქვენს მუშაობას ფრინველის გამოკვებისა და კვერცხის მიღების დარგში. ჩვენ აგრეთვე დიდი კმაყოფილებით დავათვალიერეთ თქვენი სანაშენო ბაღი. შეიძლება მოგილოცოთ ის თვალსაჩინო მუშაობა, რასაც თქვენ ეწევით. გთხოვთ გვიწვიოთ ამერიკაში და ნახოთ ზოგიერთი ჩვენი მეურნეობა. საუკეთესო სურვილებით უ. ლამბერტი“.

ამავე დღეს საღამოს დელეგაცია გაემგზავრა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. იგი ნახავს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, ნტს-ებს, საცდელ სადგურებს, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებსა და საწარმოებს, რომლებიც უშვებენ სასოფლო-სამეურნეო და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელ მანქანებს.

კურსკის ვაგზალში ამერიკელი სტუმრები გააცილეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებმა და მოსკოვში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს თანამშრომლებმა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებები საბჭოთა ხალხს აღაფრთოვანებს ახალი შრომითი წარმატებებისათვის

★

სრულად გამოვიყენოთ წარმოების შინაარეზერვები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებებმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია თბილისის ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის კოლექტივში.

საწარმოს საამქროებში იმართება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალებისადმი მიძღვნილი საუბრები. წარმოების მუშაკები ერთმანეთს უზიარებენ აზრებს, კისრულობენ ახალ სოციალისტურ ვალდებულებებს, რათა პირნათლად შეასრულონ ამოცანები, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ დაუსახა მრეწველობის მუშაკებს.

— ჩვენი საწარმო მეხუთე ხუთწლედის პირველშია, ჩვენ ახალგაზრდა კადრები გვყავს, — განაცხადა წარმოების მოწინავე მუშამ ამწყობი საამქროს ელექტროზენკალმა ვ. ბეჟუაშვილმა. ქარხანაში წარმოებს მუშაობა მათ აღსაზრდელად. 200-ზე მეტმა ახალგაზრდა მუშამ შეისწავლა შრომის მოწინავე მეთოდები. ქარხანა აღჭურვილია ახალი ტექნიკით. ჩვენი მოვალეობაა წარმატებით და სრულად შეავუფოთ ამ ტექნიკას. ეს მოვალეობა უნდა შევასრულოთ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებით. ჯერ კიდევ ბევრი შინაარეზერვი მოგვეპოვება, რის გამოყენებითაც შეძლებთ ახალ წარმატებებს მივაღწიოთ.

— საწარმოში, — განაცხადა ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ა. მასხარაშვილმა, — დანერგილია ლოკომოტივების შეკეთების ახალი ტექნოლოგია, რომელმაც მნიშვნელოვნად გაადვილა ბესა შეკეთების ხარისხი. მაგრამ ქარხნის რიტმული მუშაობა ხშირად იმით იფუშება, რომ დროზე არ ვიღებთ ლოკომოტივს შესაკეთებლად, ჩვენთან კოოპერირებული საწარმოები აფერხებენ მასალებითა და დეტალებით მომარაგებას. საწარმოთა სპეციალიზაციის და ურთიერთშორის მათს ფართო კოოპერირებას, რაც აღნიშნულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

წარმოების მუშაკები ერთსულოვნად აღნიშნავენ, რომ პლენუმის მიერ მიღებული დადგენილება შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ახალი ტექნიკის ფართოდ დანერგვისათვის, სოციალისტური მრეწველობის ახალ წარმატებათა მიღწევისათვის ბრძოლის პროგრამაა. (საქდესი).

თბილისი. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა. **სურათზე:** მექანიკური საამქროს აგიტატორი მ. გუშიანი მუშებს აცნობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას „მრეწველობის შემდგომი აღმავლობის, ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების ამოცანების შესახებ“;

◁ ★ ▷

ქუთაისის საწარმოებში

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქუთაისის საწარმოთა კოლექტივებში შრომითი ენთუზიაზმის ახალი აზვირთვა გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებების გაცნობამ. მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მოსამსახურეები ერთსულოვნად ებმებიან პარტიის XX ყრილობის მოწვევის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, კისრულობენ ახალ ვალდებულებებს წარმოების შემდგომი გაუმჯობესების მისაღწევად.

უაღრესად მნიშვნელოვანი ღონისძიებები შეიმუშავეს საავტომობილო ქარხანაში განსახორციელებლად. ამ ქარხნის სარემონტო-მექანიკურ საამქროში გადაწყვიტეს აამუშაონ ახალი ტექნიკა, მთავარი კონვეიერისათვის დაამზადონ ამწეები, პნევმატიკური დანადგარები და ზამბარის დასახვეი ავტომატები. ახალი ვალდებულებები იკისრეს სხვა საამქროთა კოლექტივებმაც.

ასევე ახალი საწარმოო ვალდებულებები იკისრეს ლიტოპონის, მანქანათმშენებელი და საკონსერვო ქარხნების, აბრეშუმის კომბინატისა და მაუდის ფაბრიკის კოლექტივებმა.

მეტი მაღალხარისხოვანი ფოლადისათვის

რუსთავი. („კომუნისტის“ კორ.). ხალხმრავალ მიტინგზე, რომელიც ქარხნის სამმართველოს წინ გაიმართა, თავი მოიყარეს სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა, მოსამსახურეებმა.

სპეციალური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებათა შესახებ ინფორმაცია გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტორგმა ამხ. მ. ციტაიშვილმა.

პარტიის მიერ მეტალურგთა წინაშე დასახული ახალ ამოცანებზე ილაპარაკა ქარხნის დირექტორის მოვალეობის დროებითმა შემსრულებელმა ამხ. ს. შარაძეიძემ. მან მიუთითა იმ დიდ რეზერვებზე, რომლებიც ქარხნის კოლექტივს აქვს პროდუქციის გამოშვების გასადიდებლად.

— ასეთი რეზერვებია, — განაცხადა შარაძეიძემ, — კაზმის გაშუალედების, გამდნობადებული აგლომერატისა და საწარმოო პროცესების ინტენსიფიკაციის სხვა საშუალებათა ფართოდ გამოყენება, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მუშათა შემოქმედებითი თანამეგობრობა და სხვ.

ფოლადსადნობ საამქროში რომ სამხმელო ამწეების ტვირთამწეობა გავზარდოთ, რაც ახლო ხანში უნდა განხორციელდეს, მარტო ამ საშუალებით შეძლებთ მოვიპოვოთ ისეთი წარმატებები, რომ პირნათლად შეეხვედეთ პარტიის მეოცე ყრილობას.

მიტინგზე პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე ა. გუსევმა, გ. ბერიშვილმა, ა. ბოროვკოვმა, ლ. ხარბედიამ და სხვებმა.

მრეწველობის აღმავლობის საბრძოლო პროგრამა

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა გულისყურით მოისმინეს ქარხნის დირექტორის ნ. თუშიშვილის საინფორმაციო მოხსენება იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც დასახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა მრეწველობის შემდგომი აღმავლობისათვის.

— ეს დადგენილება, — თქვა ამხ. თუშიშვილმა, — გვაკისრებს მეტად პასუხსაგებ მოვალეობას: უფრო ფართოდ დავნერგოთ წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, ვამრავლოთ ნოვატორთა რიგები, ფართოდ გამოვიყენოთ მათი რაციონალიზატორული მეთოდები, ამ საფუძველზე განუხრელად ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება და თვალსაჩინო მიღწევებით შევხვდეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას.

მაუდის სართავი საამქროს ბრიგადირმა მ. მარგველაშვილმა თავის გამოსვლაში განმარტა, თუ როგორ აღწევს შრომის ნაყოფიერების გადიდებას ახალი სართავი მანქანების სრული ათვისების შედეგად.

— პარტიის მოწოდება აღგვაფრთოვანებს ახალ-ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის ბრძოლაში, — თქვა მან. — ჩვენი ბრიგადა ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ სრულყოფილად გამოვიყენოთ არსებული რეზერვები, რომ ჩვენ მიერ გამოშვებული პროდუქციის 97 პროცენტი იყოს პირველი ხარისხისა.

გალტიისპირეთის რესპუბლიკების მშრომელები ზეიმით აღნიშნავენ ღირსსახსოვარ თარიღს — საბჭოთა ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის 15 წლისთავს. 1940 წლის ივლისში ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის მშრომელებმა დაამხეს ანტიხალხური, ბურჟუაზიული წყობილება, დამყარეს საბჭოთა ხელისუფლება და ნებაყოფლობით შეეიღნენ დიდ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ამით მათ ძლევამოსილად დაამთავრეს ბრძოლა, რომელსაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მრავალი წლის მანძილზე ეწეოდნენ თავიანთი თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

საახალოვანი იუბილე

21 ივლისს საბჭოთა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მშრომელები ზეიმით აღნიშნავენ ღირსსახსოვარ თარიღს — საბჭოთა ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის 15 წლისთავს. 1940 წლის ივლისში ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის მშრომელებმა დაამხეს ანტიხალხური, ბურჟუაზიული წყობილება, დამყარეს საბჭოთა ხელისუფლება და ნებაყოფლობით შეეიღნენ დიდ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ამით მათ ძლევამოსილად დაამთავრეს ბრძოლა, რომელსაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მრავალი წლის მანძილზე ეწეოდნენ თავიანთი თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

განვლილი 15 წლის მანძილზე ლიტველი, ლატვიელი და ესტონელი მშრომელები პირადი მაგალითით დარწმუნდნენ საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების დიდ უპირატესობებში. ლიტვა, ლატვია და ესტონეთი, რომლებიც წინათ უმწეო, ეკონომიურად სუსტი ქვეყნები იყვნენ და დამოკიდებული იყვნენ იმპერიალისტურ სახელმწიფოებზე, თავისუფალ სოციალისტურ რესპუბლიკებად გადაიქცნენ.

• • •

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, წერს გაზეთი „სოვეტსკაია ლიტვა“, ევროპის ერთ-ერთ ჩამორჩენილი ქვეყნიდან ლიტვა აყვავებულ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რესპუბლიკად გადაიქცა. საბჭოთა ხალხების, პირველ რიგში დიდი რუსი ხალხის დახმარებით რესპუბლიკის მშრომელებმა სულ მალე მიაღწიეს სერიოზულ წარმატებებს სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე. ლიტვის ტერიტორიაზე გაჩნდა ფაბრიკებისა და ქარხნების ვეება კორპუსები. რესპუბლიკის ახალგაზრდა მრეწველობა დღითიდღე სულ უფრო მეტი რაოდენობით უშვებს ჩარხებს, ტურბინებს, გელოსიპედებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, ელექტროხელსაწყოებს, ქსოვილებს, ფეხსაცმელს, კონსერვებს და სხვ. საბჭოთა ლიტვის მრეწველობის განუხრელ ზრდაზე ნათლად მეტყველებს ის, რომ თხუთმეტი წლის მანძილზე რესპუბლიკაში პროდუქციის გამოშვება ოთხჯერ გადიდდა.

დიდი ცვლილებები მოხდა ლიტველი გლეხობის ცხოვრებაშიც. ლიტვის სოფლის მეურნეობის გარდაქმნას დიდად შეუწყო ხელი სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის კომუნისტური პარტიის ყოველდღიურმა ზრუნვამ, კოლმეურნეობათა ჩამოყალიბებისა და მათი განმტკიცებისათვის ბრძოლაში მოძმე საბჭოთა ხალხების აღმაფრთოვანებელმა მაგალითმა და დახმარებამ. 1947 წლის დამლევს რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა პირველი კოლმეურნეობები, 1952 წლის ბოლოსათვის კი რესპუბლიკაში უკვე შექმნილი იყო 113 მტს-ი, მტს-ებმა დიდი დახმარება გაუწიეს კოლმეურნეობებს ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებაში, ნიადაგის დამუშავებაში, სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულებაში. მოიმუშეს რა ომით მიყენებული ჭრილობები, რესპუბლიკის სოფლის მშრომელები მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

წარმატებებს აღწევს ლიტვის კოლმეურნეგლეხობა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგის — სელის მოსავლის გადიდების საქმეში. 1954 წელს წინა წელთან შედარებით სელის პროდუქციის აღება რესპუბლიკაში 32,3 პროცენტით გადიდდა. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ლიტვაში დიდი მუშაობა იქნა გაწეული საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის გადიდებისათვის.

სოფლის მეურნეობის განვითარებაში მარშან მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისათვის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის 1.600-ზე მეტმა მონაწილემ ღირსეულად მოიპოვა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება.

დიდია აგრეთვე წარმატებები, რომლებიც მოიპოვა ლიტვამ მეცნიერებისა და კულტურის განვითარების დარგში.

სახელოვან იუბილეს რესპუბლიკის მშრომელები აღნიშნავენ ლიტვის 15 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების ფარფოდ გაჩალებით.

• • •

სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებით ეგებება ლატვიელი ხალხი სახელოვან თარიღს. ამ წარმატებებს ლატვიის მშრომელები უმადლიან მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელ ზრუნვას ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების შემდგომი აღმავლობისათვის, იმ დიდ დახმარებას, რასაც უწევენ ლატვიელ ხალხს საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკების ხალხები და პირველ რიგში დიდი რუსი ხალხი.

ლატვიელი ხალხი ღრმად გრძნობს და დიდად აფასებს საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის უძლეველ ძალას. საბჭოთა ლატვია, წერს გაზეთი „სოვეტსკაია ლატვია“, მჭიდროდ დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე რესპუბლიკასთან.

რესპუბლიკაში განუწყვეტელ ნაკადად მოედინება მანქანები და დაზგები, ნედლეული და მოწყობილობა. ყოველწლიურად მტკიცდება ლატვიის მუშათა და კოლმეურნეთა, ინჟინერთა და მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა შემოქმედებითი კავშირი მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების წარმოების ნოვატორებთან და კულტურის მოღვაწეებთან. თავის მხრივ ლატვია მოძმე რესპუბლიკებს უგზავნის რკინიგზის ვაგონებს და რადიოაპარატურას, ხის დასამუშავებელ დაზგებსა და ჰიდროტურბინებს, საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურებს და ვრეფფერულ ძმწეებს, ელექტრომოტორებს და სხვა მანქანებსა და მოწყობილობას.

გასულ წელს მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს ლატვიის მრეწველობის მუშაკებმა. მათ საერთო პროდუქციის მოცულობა 1954 წელს 1950 წელთან შედარებით 74 პროცენტით გაადიდეს, სამრეწველო წარმოების დონე 1940 წელთან შედარებით 5,2-ჯერ გაზარდა.

ძირფესვიანად იცვალა სახე ლატვიის სოფლის მეურნეობამ. რესპუბლიკაში ამჟამად არის 1.400 კოლმეურნეობა, რომლებიც ათეული საბჭოთა მეურნეობა, 120-ზე მეტი მანქანა-ტრაქტორთა და სამანქანო-სამელიორაციო სადგური. ლატვიის ათობით მეურნეობა და საკოლმეურნეო წარმოების ასობით მოწინავე სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა.

სერიოზულ წარმატებებს მიაღწია საბჭოთა ლატვიამ მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. რესპუბლიკაში შექმნილია მეცნიერებათა აკადემია, გაიხსნა ბევრი ახალი უმაღლესი და საშუალო სასწავლებელი. დიდი ტირაჟებით გამოდის გაზეთები, ჟურნალები, წიგნები. ლატვიის მწერლებმა და ხელოვნების მუშაკებმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში შექმნეს შესანიშნავი ნაწარმოებები, რომლებიც საბჭოთა ხალხის სიყვარულითა და დიდი მოწონებით სარგებლობს.

• • •

გაზეთი „სოვეტსკაია ესტონია“ მოგვითხრობს იმ შესანიშნავ მიღწევებზე, რომლებითაც ხვდებიან სახელოვან თარიღს ესტონეთის მშრომელები. წარმატებით ვითარდება რესპუბლიკის მრეწველობა, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგები — მანქანათმშენებლობა, ენერგეტიკა და ფიქალების გადამუშავება. უკვე 1947 წლისათვის ესტონეთის მრეწველობამ მიაღწია ომამდელ დონეს, ხოლო მიმდინარე წლის დასაწყისისათვის ექვსჯერ და უფრო მეტად გადააჭარბა 1940 წლის დონეს.

ომის დროს დანგრეული ფაბრიკა-ქარხნები არა მარტო აღდგენილ იქნა, არამედ საგრძნობლად გაფართოვდა და აღიჭურვა მოწინავე სამამულო ტექნიკით. რესპუბლიკაში შეიქმნა ფიქალის მრეწველობის ახალი დარგი — გაზის წარმოება. მდინარე ნარვაზე შენდება მძლავრი ჰიდროელექტროსადგური.

დიდი მუშაობაა გაწეული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის. ორგანიზაციულად და პოლიტიკურად განმტკიცდნენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, განუწყვეტლივ იზრდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება.

იფურჩქნება ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა. რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ჰოსწავლე სტუდენტთა რაოდენობა ამჟამად სამჯერ აღემატება ბურჟუაზიული ესტონეთის დროის სტუდენტთა რაოდენობას. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ესტონეთში გამოცემული წიგნებისა და ბროშურების ტირაჟმა 58 მილიონ ეგზემპლარს გადააჭარბა.

დიდ როლს ასრულებს რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში ესტონეთის სსრ მეცნიერებათა აკადემია. სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები წარმატებით მუშაობენ უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადაწყვეტაზე.

დიდია სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის განვითარებაში რესპუბლიკის მიერ მოპოვებული წარმატებანი, მაგრამ რესპუბლიკის მშრომელები მიღწეულით როდი კმაყოფილდებიან. ისინი უფრო მეტი თავდადებითა და ენერგიით შრომობენ. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს დიდი შრომითი აქტივობა რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებისა და შახტებში. რესპუბლიკის მშრომელები საბჭოთა ესტონეთის 15 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ.

• • •

საბჭოთა წყობილების უპირატესობაში ღრმად დარწმუნებულ ლიტველ, ლატვიელ და ესტონელ ხალხებს თავდადებული შემოქმედებითი შრომით, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში. ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის მშრომელები საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხების მხარდამხარ თავდადებით იბრძვიან ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის.

გურჯაანის მჯს-მა ხორბლის მოსავლის აღებისა და ნაწვერალზე სიმინდის თესვის გეგმა შეასრულა

გურჯაანის მტს-მა 15 ივლისისათვის ხორბლის მოსავლის აღების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. კომბაინებით აღებულია 2.520 ჰექტარი ნაცვლად 2.200 ჰექტარისა.

ნაწვერალზე სიმინდის თესვის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული. დათესილია 761 ჰექტარი ნაცვლად 700 ჰექტარისა.

ნაწვერალზე სიმინდის თესვა გრძელდება.

მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა აბრეშუმის პარკის ჩაბარების გეგმა შეასრულეს

მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა აბრეშუმის ჭიის პირველი გამოკვების პარკის ჩაბარების გეგმა 100,5 პროცენტით შეასრულეს. სახელმწიფოს ჩაბარდა 197.746 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 196.765 კილოგრამისა. ერთ კოლოფ ჭიაზე მიღებულია 49,5 კილოგრამი პარკი ნაცვლად 46,5 კილოგრამისა.

პარკის დამზადება გრძელდება.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა და მისი ბრძოლა მშვიდობისა და დამოუკიდებლობისათვის

(ვიეტნამში საომარი მოქმედების შეწყვეტის წლისთავის გამო)

ის ამბავი, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირში სტუმრად იყო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია პრეზიდენტ ხო ში მინის მეთაურობით, ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრიობამ მიიღო როგორც დიდმნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც მოასწავებს ახალ ნაბიჯს მშვიდობის განმტკიცების, სამი სახელმწიფოს მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში.

ვიეტნამელმა ხალხმა 1945 წლის სექტემბერში მოიშორა უცხოეთის უღელი და შექმნა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა.

ვიეტნამის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავისი საგარეო პოლიტიკის ურყევ პრინციპებად გამოაცხადა ხალხთა მეგობრობა და გულწრფელი თანამშრომლობა თანასწორობისა და ურთიერთდახმარების საფუძველზე მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის დამყარების მიზნით. ამ პოლიტიკამ, რომელიც მახლობელი და გასაგებია ვიეტნამელი უბრალო ადამიანებისათვის, განსაზღვრა დემოკრატიული წყობილების სიცოცხლისუნარიანობა, და რესპუბლიკის არსებობის პირველ წლებშივე საგსებით ნათელი გახდა, რომ თავისუფლების მზეს, რომელიც ვიეტნამის მრავალტანჯულ ქვეყანაში ამოვიდა, ვერავინ და ვერასოდეს ვერ ჩააქრობს.

მაგრამ გამოჩნდნენ ბნელი ძალები, რომლებმაც უგულებელყვეს ისტორიის კანონები და სცადეს კვლავ მოეხვიათ თავს ვიეტნამისათვის კოლონიური რეჟიმი. საფრანგეთის ჯარების ინტერვენციამ, რომლებსაც აქტიურად ეხმარებოდნენ ამერიკის მონოპოლიები, აიძულა ვიეტნამელი ხალხი კვლავ აეღო ხელში იარაღი და დაეცვა თავისი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

საომარი მოქმედების ზედა საზოლოო ანგარიშით გადაწყვიტა ვიეტნამელი ხალხის მორალურ-პოლიტიკურმა ერთიანობამ.

ვიეტნამელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატებებმა აიძულა საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები დათანხმებულიყვნენ ჟენევის თათბირის მოწვევაზე. როგორც ცნობილია, ამ თათბირის დღის წესრიგის ერთ-ერთი პუნქტი იყო ინდოჩინეთის საკითხის განხილვა. ჟენევის გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიღებულ იქნა ამ საკითხზე ერთი წლის წინათ, მოასწავებენ ნშვიდობის ძალების დიდმნიშვნელოვან გამარჯვებას და ომის ძალების სერიოზულ დამარცხებას. ისინი ამასთანავე მოასწავებენ ინდოჩინეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საერთაშორისო აღიარებას. თათბირის მონაწილეებმა საბოლოო დეკლარაციაში ვალდებულება იკისრეს პატივი სცენ ინდოჩინეთის სახელმწიფოთა სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და ტერიტორიულ მთლიანობას და თავი შეიკავონ მათს საშინაო საქმეებში ყოველგვარი ჩარევისაგან.

ვიეტნამში საომარი მოქმედების შეწყვეტისა და ორივე მხარის ჯარების გადაჯგუფების მიზნით (დაახლოებით მე-17 პარალელზე) გაიყვანეს დროებითი სადემარკაციო ხაზი. ამ ხაზის ჩრდილოეთით და სამხრეთით მდებარე ზონები გამოჰყვეს შესაბამისად ვიეტნამის სახალხო არმიის ჯარებისა და საფრანგეთის კავშირის ჯარების გადასაჯგუფებლად. გადაჯგუფების თვითეულ ზონაში სამოქალაქო ძალაუფლებას უზრუნველყოფს ის მხარე, რომლის შეიარაღებული ძალებიც გადაყვანილი არიან იქ. ამრიგად, ვიეტნამის ჩრდილოეთი ნაწილი, სადაც ცხოვრობს 13 მილიონი კაცი, მთელი ვიეტნამის 22-მილიონიანი მოსახლეობიდან, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის იურისდიქციის ზონა გახდა.

ჟენევის შეთანხმებებმა ყველა წინაპირობა შექმნა ინდოჩინეთის საკითხის სრული მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის. ამ შეთანხმებებმა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხს მისცა შესაძლებლობანი ეკონომიური და კულტურული განვითარებისა მშვიდობიანი ვითარების პირობებში, ამასთან შექმნა საფრანგეთთან მეგობრული თანამშრომლობის საფუძველი.

მშვიდობიანი მშენებლობის დაწყებამ უმაგალითო შრომითი აღფრთოვანება გამოიწვია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში. მინდვრის მშრომელები ჩაეწნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის ბრძოლაში. მიღწეული წარმატებანი ჯერ კიდევ არ არის დიდი, მაგრამ ისინი უკვე რეალურად იგრძნობა: ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის გლეხები იღებენ საომარი მოქმედების დამთავრების შემდეგ პირველ ზაფხულის მოსავალს, რომელიც მთელ რიგ რაიონებში შარშანდელზე დიდია. იმ ღონისძიებათა მეოხებით, რომლებიც სახელმწიფომ განახორციელა და რომლებიც გლეხებს უადვილებენ ახალი მიწების ათვისებას, ნათესი ფართობი წელს 1954 წელთან შედარებით 32 ათასი ჰექტარით გადიდდა. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ სოფლის საწარმოო ძალების განვითარებას. წელს მთავრობა სოფელ ადგილებში გზავნის 23 ათას მუშაკს აგრარული რეფორმის განსახორციელებლად, რომელიც ითვალისწინებს შემდეგი პრინციპის თანდათანობით განხორციელებას: „მიწა იმას უნდა ეკუთვნოდეს, ვინც მას ამუშავებს“. სახელმწიფო დიდ დახმარებას უწევს გლეხებს სესხით, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით, სასუქებით, გამწევი ძალით და სხვ.

ვიეტნამელი მუშები ნამდვილ შრომითს გმირობას იჩენენ ფაბრიკებისა და ქარხნების, რკინიგზის ტრანსპორტისა და სამთომომპოვებელი მრეწველობის აღდგენასა და მშენებლობაში. პატრიოტული მოძრაობის პირველ რიგებში არიან ვიეტნამელი რკინიგზელები. მათ უკვე გადასცეს საექსპლოატაციოდ მთელი რიგი მაგისტრალები, რომლებსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ ვიეტნამისათვის.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ კვალიფიციური კადრების მომზადებას, რომლებიც საჭიროა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების რთული ამოცანების გადასაჭრელად. ამ უკანასკნელ ხანს ვიეტნამში გაიხსნა ახალი სასწავლებლები, რომლებიც ამზადებენ სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ტრანსპორტის სპეციალისტებს.

ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომელიც შემოქმედებითს შრომას ეწევა, არაერთხელ გახუცხადებია, რომ სურს ნდობისა და თანამშრომლობის ვითარებაში იცხოვროს სხვა ქვეყნებთან. კერძოდ, როცა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია პეკინში იმყოფებოდა, პრეზიდენტმა ხო ში მინმა დარბაზობაზე, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ გამართა დელეგაციის პატივსაცემად, ერთხელ კიდევ აღნიშნა ხაზგასმით: „ჩვენმა მთავრობამ განაცხადა, რომ მზად არის ნორმალური მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს ყოველ ქვეყანასთან, მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპის საფუძველზე“. სწორედ ასეთი ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად უდევს ურთიერთნდობა, დამყარდა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ინდოეთს, ჩინეთსა სახალხო რესპუბლიკასა, ბირმას, ინდონეზიას, სპეჩოთა კავშირსა და ევროპისა და აზიის ბევრ სხვა ქვეყანას შორის.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა, იცავს რა თავის დამოუკიდებლობას, თანმიმდევრულად იბრძვის მშვიდობის განმტკიცებისა და ხალხთა უშიშროებისათვის. კარგად არის ცნობილი, თუ რა დიდი წვლილი შეიტანა მან ჟენევის თათბირის წარმატებით დამთავრებაში. ვიეტნამელი ხალხის სიფხიზლე და ის, რომ იგი განუხრელად იცავს ჟენევის გადაწყვეტილებებს, დაუძლეველი დაბრკოლებაა, რომელიც ხელს უშლის დასავლეთის აგრესიულ წრეებს სპობოტაჟი გაუწიონ ჟენევაში მიღებულ შეთანხმებებს. მაგრამ ინდოჩინეთში სრული სამშვიდობო მოწესრიგების მოწინააღმდეგეებს ჯერ კიდევ არ აუღიათ ხელი ძირგამომთხრელ საქმიანობაზე.

ჟენევის გადაწყვეტილებებმა, რომ მთელ ვიეტნამში (ჩრდილოეთსა და სამხრეთში) თავისუფალი არჩევნები მოეწყოს 1956 წლის ივლისში, შექმნა პირობები, რომ ვიეტნამი გაერთიანდეს მშვიდობიან დემოკრატიულ საფუძველზე, მთელი ვიეტნამელი ხალხის ეროვნული ინტერესებისა და მისწრაფებების შესაბამისად. გაითვალისწინა რა, რომ საომარი მოქმედების შეწყვეტა და სხვა სამხედრო საკითხთა გადაჭრა მხოლოდ ვიეტნამის პოლიტიკური თვითგამორკვევის წინაპირობაა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, რომელიც მოქმედებს ჟენევის შეთანხმებათა შესაბამისად, ამა წლის ივნისში განაცხადა, რომ მზად არის შეხვდეს საკონსულტაციო კონფერენციაზე სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფლებს საყოველთაო თავისუფალი არჩევნების მოწყობის საკითხის განსახილველად. ამ განცხადებას აქტიურად დაუჭირა მხარი მთელი ვიეტნამის მოსახლეობამ. ჩრდილოეთ ვიეტნამში იმართება მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენელთა მიტინგები, რომლებზეც მხურვალედ იწონებენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადებას და მოუწოდებენ სამხრეთ ვიეტნამის თავრობას მიიღოს მონაწილეობა საკონსულტაციო კონფერენციაში. უცხოეთის პრესა იუწყება, რომ საფრანგეთის ბევრი თვალსაჩინო მოღვაწე და ორგანიზაცია მხარს უჭერს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადებას.

ყოველივე ამის მიუხედავად, ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული წრეების წარმომადგენლები ეწინააღმდეგებიან საბოლოო მშვიდობიან მოწესრიგებას ვიეტნამში და ახორციელებენ პოლიტიკას, რომლის მიზანია ვიეტნამში საერთოეროვნული არჩევნების მომზადებისა და ჩატარების ჩაშლა. ამ მიზნით ამერიკის მონოპოლიები და სამხედრო წრეები იყენებენ სამხრეთ ვიეტნამის ნგო დინ დიემის მთავრობას. სამხრეთ ვიეტნამის მთავრობას და მის მფარველებს ამერიკის შეერთებულ შტატებში შეგნებული აქვთ, წერს ინდოეთის გაზეთი „ტაიმ

დამთავრდა ი. ბ. სტალინის სახელობის მეცნიერებისა და კულტურის სასახლის მშენებლობა

ვარშავა, 19 ივლისი. (საკრესი). სავსებით დამთავრდა ი. ბ. სტალინის სახელობის მეცნიერებისა და კულტურის სასახლის მშენებლობა; ეს სასახლე საბჭოთა კავშირის საჩუქარია სახალხო პოლონეთისადმი. 21 ივლისს ვარშავაში გაიმართება პოლონეთის მთავრობისათვის სასახლის საზეიმო გადაცემა.

ამ დიდებული ნაგებობის სასარგებლო ფართობი 113,5 ათასი კვადრატული მეტრია. სასახლის ნაგებობებს 10,5 ჰექტარი ფართობი უკავიათ.

სასახლის შენობაში 3 ათასამდე სათავსია. ერთდროულად აქ შეუძლია ცეკვაოს, დაისვენოს და გაერთოს 20 ათასამდე კაცი. შენობას აქვს ცხელ ამინდში ჰაერის გასაგრილებელი და დასატენიანებელი დანადგარები.

შენობაში არის წიგნსაცავი 120 ათასზე მეტი ტომისათვის, სათავსები რესტორანებისა და სადილობებისათვის. სასახლეში მოთავსდება პოლონეთის მეცნიერებათა აკადემია, მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტი, აგრეთვე სგამოფენო სათავსები და ბიბლიოთეკები, კონგრესების დარბაზი, რომელიც ნავარაუდევია 3.500 ადგილისათვის, აღჭურვილია ბგერაჩამწერი და თარგმანის სპეციალური დანადგარებით.

სასახლეში მოქმედებს 33 ლიფტი და სხვადასხვა დანიშნულების ამწე, შვიდი რადიოკვანძი.

სასახლეში მოწყობილია ორი კინოდარბაზი თვითეული 440 ადგილით, სალექციო დარბაზი, მეცნიერებათა აკადემიის აუდიტორია 560 ადგილით, საკონცერტო დარბაზი, დრამატული თეატრი 765 ადგილით, ახალგაზრდობისა და თოჯინების თეატრები.

სპეციალურ კორპუსში ახალგაზრდათა მეცადინეობისათვის აგრეთვე არის ბევრი კარგად მოწყობილი ოთახი, სამკითხველო და საგამოფენო დარბაზები, საზამთრო ბაღი, მანქანების დარბაზი ტექნიკაში მეცადინეობისათვის.

სასახლის ტერიტორიაზე აგებულია ტექნიკის მუზეუმი, რომელსაც აქვს 16 საგამოფენო დარბაზი, სასპორტო კორპუსი საცურავი აუზით და სასპორტო დარბაზები.

სტალინის სახელობის მეცნიერებისა და კულტურის სასახლეში ყოველდღე მიდის მრავალი ექსკურსანტი. სასახლის შინა სათავსების ზერელე დათვალიერებასაც კი სულ ცოტა 3-4 საათი უნდა.

პოლონელი ხალხი გულწრფელ მადლობას უხდის საბჭოთა კავშირს დიდი საჩუქრისათვის და მიაჩნია იგი პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობის ცაფიო გამოვლინებად. მთავარი შესასვლელის ვესტიბიულში ოქროს ასოებით ამოკვეთილია ღირსშესანიშნავი სიტყვები: „იოსებ სტალინის სახელობის მეცნიერებისა და კულტურის სასახლე სამარადისოდ იქნება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხთან პოლონელი ხალხის ურღვევი მეგობრობის სიმბოლო“.

ნინაალმდეგობის მებრძოლთა, ფაშიზმის მსხვერპლთა და ყველთა საერთაშორისო ფედერაციის დეპეშა ქენევის თათბირის მონაწილეებისადმი

ვენა, 20 ივლისი. (საკრესი). როგორც წინაალმდეგობის მებრძოლთა, ფაშიზმის მსხვერპლთა და ტყვეთა საერთაშორისო ფედერაციის სამდივნო იუწყება, ფედერაციის გამგეობამ ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურებს— ქენევის თათბირის მონაწილეთ გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია:

წინაალმდეგობის მოძრაობის მებრძოლნი, ჰიტლერელთა საკონცენტრაციო ბანაკების ყოფილი პატიმრები, ნაციზმის მსხვერპლნი და მათი ნათესავები 20 ქვეყნიდან, გაერთიანებული წინაალმდეგობის საერთაშორისო ფედერაციაში, მიესალმებიან ქენევის თათბირს და იმედი აქვთ, რომ ეს თათბირი მშვიდობის შენარჩუნების მიზნით აღადგენს დიდ სახელმწიფოთა შორის ურთიერთგაგებას, რომელსაც მოაყვა გაძარჯვება ჰიტლერელთა ურღვევებზე.

ქენევის თათბირი შეესაბამება წინაალმდეგობის ყველა ყოფილ მებრძოლთა, ომისა და ნაციზმის მსხვერპლთა სურვილებს. ამ თათბირის მოწვევა მათ მიაჩნიათ იმის დამადასტურებლად, რომ მოლაპარაკება სჯობს „ძალის პოზიციის“ პოლიტიკას და რომ ამ თათბირის მოწვევა ნაბიჯია ერთა შორის ურთიერთგაგებისა და ნდობის ატმოსფეროს შექმნისაკენ.

ვერავინ, ვინც იბრძოდა ჰიტლერიზმის წინაალმდეგ, ვინც იბრძოდა განთავისუფლებისათვის, ვერ დაივიწყებს იმ დანაშაულობას, რომლის მიზეზი იყვნენ გერმანელი მილიტარისტები, ე. ი. ისინი, ვისაც პარიზის შეთანხმებანი კვლავ აძლევენ ხელში იარაღს. ამიტომ მათ განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, რომ ამ თათბირის მსვლელობაში გამოინახოს გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრა, ისე რომ მხედველობაში მიიღონ და პატივი სცენ თვითეული ერის დამოუკიდებლობისა და უშიშროების უფლებას, რათა გერმანია აღარ გადაიქცეს საფრთხედ მშვიდობისათვის.

მათ იმედი აქვთ, რომ მიღწეულ იქნება საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და დამყარდება ურთიერთგაგების ატმოსფერო.

ავსტრიის მინისტრთა საბჭოში

ვენა, 20 ივლისი. (საკრესი). ავსტრიის პრესის სააგენტომ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ გუშინ გაიმართა ავსტრიის მინისტრთა საბჭოს სხდომა. ცნობაში ნათქვამია:

ეროვნული საბჭოსა და ფედერალური საბჭოს ამა წლის 7 და 8 ივლისის გადაწყვეტილების შესაბამისად ფედერალურმა კანცლერმა მინისტრთა საბჭოს განსახილველად შეიტანა ფედერალური კონსტიტუციური კანონის პროექტი ავსტრიის ნეიტრალიტეტის შესახებ. კონსტიტუციური კანონის პროექტი შეიცავს შემდეგ ორ მუხლს:

მუხლი პირველი.

1) თავისი დამოუკიდებლობის მტკიცედ და მუდმივად დამკვიდრების მიზნით საგარეო ურთიერთობაში, თავისი ტერიტორიის ხელშეუხებლობის შენარჩუნების მიზნით და სიმშვიდისა და წესრიგის დაცვის ინტერესებისათვის ქვეყნის შიგნით ავსტრია ნებაყოფლობით აცხადებს თავის მუდმივ ნეიტრალიტეტს და შეინარჩუნებს და დაიცავს მას ყველა საშუალებით, რომელიც კი აქვს.

2) ამ მიზნის მიღწევის უზრუნველსაყოფად ავსტრია არასოდეს არ შეეა რაიმე სამხედრო კავშირში და არ დაუშვებს შეიქმნას მის ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოთა სამხედრო დასაყრდენი პუნქტები.

მუხლი მეორე.

ამ ფედერალური კონსტიტუციური კანონის შესრულებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ფედერალურ მთავრობას.

ავსტრიის მინისტრთა საბჭომ მოიწონა ეს კანონპროექტი.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ნოტა სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფლებათან საკონსულტაციო კონფერენციის თაობაზე

ხანოი, 19 ივლისი. (საკრესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება:

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ხო ში მინის განკარგულებით და სახელით ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ფამ ვან დონგმა 19 ივლისს სამხრეთ ვიეტნამის სახელმწიფოს მეთაურსა და პრემიერ-მინისტრს გაუგზავნა ნოტა, რომელშიც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მოაგონებს, რომ უნდა მოიწყოს საკონსულტაციო კონფერენცია სამხრეთ ვიეტნამის კომპეტენტურ ხელისუფლებათან ერთად, რათა მომზადდეს საყოველთაო არჩევნები მომავალ წელს ამ მიზნით, რომ განხორციელდეს ვიეტნამის გაერთიანება.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინადადებაა, რომ სამხრეთ ვიეტნამის კომპეტენტურმა ხელისუფლებმა დანიშნონ თავიანთი წარმომადგენლები და რომ ამ წარმომადგენლებმა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებმა მოაწყონ საკონსულტაციო კონფერენცია 1955 წლის 20 ივლისიდან, როგორც ეს გათვალისწინებულია ქენევის შეთანხმებით, ვიეტნამის ტერიტორიაზე იმ ადგილას, რომელიც მისაღები იქნება ორივე მხარისათვის.

ნოტა ამავე დროს გაგზავნათ ქენევის თათბირის თავმჯდომარეებს, ვიეტნამის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიის თავმჯდომარესა და საფრანგეთის მთავრობას.

მდგომარეობა ლაოსში

ხანოი, 20 ივლისი. (საკრესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ლაოსიდან მოვიდა ცნობა, რომ განახლდა პოლიტიკური კონფერენცია პატეტ-ლაოს ნაწილების წარმომადგენლებსა და მეფის მთავრობის დელეგაციის შორის ლაოსში საერთაშორისო კომისიის წარმომადგენლის მონაწილეობით.

გაზეთი „ლაო-იტსალა“ წერს, რომ კონფერენციის დღის წესრიგის განხილვის მსვლელობაში პატეტ-ლაოს ნაწილების დელეგაციამ წარადგინა შემდეგი ძირითადი პუნქტები: მოეწყოს თავისუფალი საყოველთაო არჩევნები, უზრუნველყონ დემოკრატიული თავისუფლებანი ლაოსში და განიხილონ საკითხი სამნეასა და ფონგსალის პროვინციებში ხელისუფლების ორგანოების შესახებ.

ლაოსის მეფის მთავრობის დელეგაცია, აღნიშნავს გაზეთი, მოითხოვდა, რომ საკითხი ფონგსალისა და სამნეას პროვინციებში სამეფო ადმინისტრაციის შექმნის შესახებ განეხილათ საყოველთაო არჩევნების საკითხის განხილვამდე. ამიტომ კონფერენციის დღის წესრიგის საკითხში შეთანხმებას ვერ მიაღწიეს.

ლისინმანელები ამზადებენ ახალ პროვოკაციებს კორეაში

ლონდონი, 20 ივლისი. (საკრესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი სეულიდან იუწყება, რომ სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა ლი სინ მანმა გუშინ მოიწვია უმაღლესი სამხედრო ლიდერების საიდუმლო თათბირი.

სააგენტო აღნიშნავს, რომ ეს თათბირი მოწვეულ იქნა სამხრეთ კორეის შტაბების უფროსთა გაერთიანებული ჯგუფის თავმჯდომარის ლი ხიუნ კუნის განცხადების შემდეგ, რომ სამხრეთ კორეის შეიარაღებული ძალები „მზად არიან განაცხადონ, რომ უქმდება შეთანხმება დაზავების შესახებ და, გაილაშქრონ ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ“.

ხო ში მინი პეკინს ჩავიდა

პეკინი, 20 ივლისი. (საკრესი). როგორც პეკინის რადიო იუწყება, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ხო ში მინი დღეს თვითმფრინავით პეკინს ჩამოვიდა. აეროდრომზე მას შეხვდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი და მთავრობის სხვა წარმომადგენელნი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, პეკინის მერი და სხვა პირნი.

საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია ინგლისში

ლონდონი, 19 ივლისი. (საკრესი). ამჟამად ინგლისში მყოფი საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო დელეგაციის ხელმძღვანელმა სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების მინისტრმა ი. ა. ბენედიქტოვმა ინგლისის მიწათმოქმედების, მეცხოველეობისა და სურსათის მინისტრთან ჰეტ-კოტ-ემორისთან შეხვედრისას მოიწვია ინგლისის სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა დელეგაცია ეწვიოს საბჭოთა კავშირს, რათა გაეცნოს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას და საბჭოთა სამეცნიერო-საკვლევ და სხვა სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებათა მუშაობას.

იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო დელეგაციამ ამოწურა გაზეთ „ნიუს ქრონიკლის“ მიერ შედგენილი პროგრამა ინგლისში მოგზაურობისა, დელეგაციის ხელმძღვანელმა ი. ა. ბენედიქტოვმა გაზეთის რედაქტორს ბ-ნ კერტისს გაუგზავნა წერილი, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

„საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო დელეგაციის მოგზაურობის დამთავრების შემდეგ, რომელიც თქვენი ინიციატივით მოაწყო „ნიუს ქრონიკლის“ რედაქციამ, მე მინდა დელეგაციის წევრთა სახელით და ჩემი სახელით მადლობა გიძღვნათ თქვენ და თქვენს კოლეგებს გულთბილი სტუმარმოყვარეობისათვის და მოგზაურობის კარგი ორგანიზაციისათვის. მოგზაურობის დროს ჩვენ საშუალება გვქონდა გავცნობოდით ინგლისის სოფლის მეურნეობას და იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ვიზიტი ინგლისში ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების სოფლის მეურნეობის მუშაკებს შორის კონტაქტის განმტკიცებას, აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და შეერთებული სამეფოს ხალხთა მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განვითარებას. იმედი გვაქვს, რომ თქვენ და თქვენს კოლეგებს გნახავთ ბრიტანეთის სასოფლო-სამეურნეო დელეგაციის წევრთა შორის, რომელიც ჩვენ მივიწვიეთ წელს საბჭოთა კავშირში“.

დაიხურა არქიტექტორთა IV საერთაშორისო კონგრესი

ჰაბანა, 17 ივლისი. (საკრესი). გუშინ ჰავანაში მუშაობა დამთავრა არქიტექტორთა IV საერთაშორისო კონგრესმა, რომლის ძირითადი თემა იყო სბინაო მშენებლობის გაუმჯობესებისა და გაფართოების საკითხები. კონგრესმა საქმიანად განიხილა ეს საკითხები და მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებანი.

კონგრესის დამახასიათებელი ნიშანი იყო საყოველთაო მისწრაფება ხალხთა მშვიდობისა და თანამშრომლობისადმი. მიუხედავად კონგრესზე წარმოდგენილი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი სისტემების სხვადასხვაობისა, დელეგატები ერთსულოვანი იყვნენ ისეთ საკითხებში, როგორიც არის არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის ახალი წევრების, მათ შორის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის არქიტექტორთა მიღება. დელეგატებმა ერთხმად მიიღეს საბჭოთა არქიტექტორების კავშირის მიწვევა — არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის შემდეგი კონგრესი გაიმართოს საბჭოთა კავშირში. მშვიდობისა და თანამშრომლობისადმი მისწრაფების მოწმობს აგრეთვე ის ფაქტი, რომ დასავლეთ გერმანიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციები, რომლებიც თავდაპირველად ცალკე გამოდიოდნენ, შემდეგ კონგრესზე გაერთიანდნენ ერთ დელეგაციად სახელწოდებით „გერმანია“.

გუშინ კონგრესის საბოლოო სხდომაზე დამსწრეთ მხურვალე მოწოდებით მიმართა შვეიცის დელეგატმა ოლსენმა.

არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის წევრები, თქვა მან, ერთსულოვნად აცხადებენ, რომ არ არსებობს ისეთი პრობლემა, არ არსებობს ისეთი კონფლიქტი ან რაიმე რელიგიური თუ პოლიტიკური საკითხი, რომლებიც არ შეიძლებოდეს და არ უნდა გადაწყდეს მშვიდობიანი საშუალებებით. სამხედრო ნგრევის ცნება პირდაპირ საწინააღმდეგოა შემოქმედებითი არქიტექტურის ცნებისა. აუცილებლობა შემოქმედებითი მუშაობისა კაცობრობის საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის ცხადია. ასევე ცხადია მოსპობის უნაყოფობა და მისთვის მზადება. ამიტომ არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირს, რომელიც გამოდის მსოფლიოს ყველა არქიტექტორის სახელით და ემყარება საერთაშორისო ურთიერთობაში საკუთარ გამოცდილებას, საჭიროდ მიაჩნია ენერგიულად მოსთხოვოს ყველა ქვეყნის პოლიტიკურ ლიდერებს, რომ მან ისეთ შეთანხმებებს მიაღწიონ სადავო საკითხებზე, რომლებიც საბოლოოდ მოსპობდნენ ომის საფრთხეს.

წინადადებას ვიძლევი, განაცხადა დასასრულ ოლსენმა, რომ ჩვენმა კონგრესმა დაავალოს არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტს აცნობოს ეს განცხადება ყველა მთავრობას.

კონგრესის დელეგატებმა ოლსენის წინადადება ხანგრძლივი ტაშით მიიღეს.

სირიის პარლამენტის დეპუტატები თბილისში

20 ივლისს თბილისში ჩამოვიდა სირიის პარლამენტის დეპუტატთა ჯგუფი, რომელიც ბაქოდან სოჭში მიემგზავრება. ჯგუფს შეთაურობს სირიის პარლამენტის დეპუტატი მუსტაფა ზარკა.

სტუმრებს აეროდრომზე შეხვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. დ. კუპრაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. გ. ქერქაძე, დ. გ. ფამაცაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ს. ს. როსტიაშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ფ. კ. მაღრაძე, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე მ. ა. კვესელავა და სხვები.

ჩამოსვლის დღეს სირიის პარლამენტის დეპუტატებმა დაათვალიერეს ქალაქი, იყვნენ ი. ბ. სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში, შამპანური ღვინოების ქარხანაში. შემდეგ ისინი გაემგზავრნენ ღიღმის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. აქ სირიის პარლამენტის დეპუტატებს აინტერესებდათ წარმოების ორგანიზაციის საკითხები, საბჭოთა მეურნეობის ყურძნის ჯიშების მოსავლიანობა.

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში სტუმრებს უჩვენეს თბილისის კონსტუდიის „ქართული ფილმის“ ფერადი ფილმები „საბჭოთა საქართველო“ და „ქართული ბალეტის ოსტატები“. (საკრესი).

ხელოვნების ქრონიკა

თელავის თეატრის გასტროლები

თბილისში საგასტროლოდ ჩამოვიდა თელავის ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი.

ქალაქ თელავს მდიდარი თეატრალური ტრადიცია აქვს. როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, აქ ჯერ კიდევ მეფე ერეკლეს დროს იმართებოდა წარმოდგენები. მწერალი ა. ჯამბაკურ-ორბელიანი თავის „ნაწერებში“ თეატრის შესახებ გვამცნობს, რომ „თელავში და თბილისში ქართულ კომედიებსაც თამაშობდნენ მეფე ერეკლეს დროშიო“, და წარმოდგენების გამმართველად ვინმე გაბრიელ მაიორს ასახელებს. „არსებობს აგრეთვე ცნობა, რომ მე-18 საუკუნის 80-იან წლებში თელავის სემინარიაში იმართებოდა სასკოლო წარმოდგენები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თელავში ჩამოყალიბდა სცენის მოყვარეთა მუდმივი წრე. ხოლო 1924 წელს დაარსდა პროფესიული თეატრი.

თეატრი, გარდა თელავისა, კახეთის სხვა რაიონების მშრომელებსაც ემსახურება. მისი კოლექტივი არაერთხელ ყოფილა საგასტროლოდ თბილისში და საქართველოს სხვა რაიონებში. უკანასკნელად იგი თბილისში იყო 1953 წელს. მიმდინარე სეზონში თეატრის კოლექტივის გასტროლები თბილისში მოწმობს მის მაღალ შემოქმედებითს დონეს.

თბილისელ მაყურებელს თელავის თეატრის კოლექტივი უჩვენებს თავის საუკეთესო დადგმებს: თანამედროვე პიესებიდან — ლ. ჭუბაბრიას „ამხანაგებს“, რ. ეგრალიძის „ნანას“, გ. ივანიშვილის „ხალხის სახელით“, გ. ბერძენიშვილის „სიყვარულის ძალას“. საგასტროლო რეპერტუარშია აგრეთვე „დაგვიანებული სიყვარული“, „ბაში-აჩუკი“, „ცომბრელი“, „კიკვიძე“, „ვერაგობა და სიყვარული“, „ფიგაროს ქორწინება“, „კრაზანა“ და სხვ.

სპექტაკლების დადგმა ეკუთვნით თეატრის მთავარ რეჟისორს ლ. შატბერაშვილს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს მ. მელქმარიაშვილს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტებს რ. ქართველიშვილს და ვ. ჩელთისპირელს, თეატრის დირექტორს ს. ახალაძეს და რეჟისორს გ. ოსელიანს. მხატვრებია: ი. პეტროსტისი, დ. ბალარჯიშვილი, ნ. მალაზონია.

17 ივლისს გრიბოედოვის სახელობის თეატრის შენობაში დაიწყო თელავის თეატრის გასტროლები. თბილისელმა მაყურებლებმა ნახეს სპექტაკლები „ბაში-აჩუკი“, „ფიგაროს ქორწინება“, „კიკვიძე“ და „ამხანაგები“, რომლებშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ა. ივერიელი, პ. აბელედანი, რ. ქართველიშვილი და ვ. ჩელთისპირელი, მსახიობები თ. ბურუშაძე, ნ. ურუშაძე, ქ. კეკელიშვილი, ე. ვერულაშვილი, ე. გვაზავა, ქ. მაჭავარიანი, თ. მანველიშვილი, ს. ახალაძე, ა. კუპატაძე, გ. კეკლიშვილი, გ. მამუჩიშვილი, ს. მანანაშვილი, ბ. ჯავახია, ვ. ფარკოზაშვილი, ბ. მარტიაშვილი, დ. სხირტლაძე, ე. მოსესოვი და სხვ.

ღღეს წარმოდგენილი იქნება სპექტაკლი „ნანა“. თეატრის გასტროლები გასტანს 27 ივლისამდე. ამ ხნის განმავლობაში გასცლითი სპექტაკლები გაიმართება ფილარმონიის საზაფხულო თეატრში, პლეხანოვის სახელობის კლუბში, რუსთაველ და მცხეთაში.

გ. ძნელაძე.

„გლახის ნაამბობი“

მიმდინარე სეზონის უკანასკნელ ახალ დადგმად რუსთაველის სახელობის თეატრმა მაყურებელს უჩვენა ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“ (გასცენიურებული გ. ნახუცრიშვილისა და დ. ცხაკაიას მიერ).

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის რესპუბლიკის სახალხო არტისტს დ. ალექსიძეს, გაფორმება— სტალინური პრემიის ლაურეატებს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეებს მხატვარ ფ. ლაპიაშვილსა და კომპოზიტორ ა. მაჭავარიანს, ცეკვების დადგმა ეკუთვნის სტალინური პრემიის ლაურეატს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს ი. სუხიშვილს.

მონაწილეობდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ვასაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი გ. დავითაშვილი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. დოლიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები გ. კოკრაძე, დ. ხუციშვილი, თ. ჩარკვიანი, მსახიობები ე. საყვარელიძე, თ. ტატიშვილი, ს. ისნელი, კ. საკანდელიძე და სხვ.

სტუდენტ კალათბურთელთა შეჯიბრება

ლენინგრადში დამთავრდა უმაღლესი სასწავლებლების პირველობის გათამაშება კალათბურთში. ვაჟთა გუნდებს შორის ქვეჯგუფებში გამარჯვება და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს საქართველოსა და კაუნასის პოლიტექნიკური ინსტიტუტების კალათბურთელთა კოლექტივებმა. ამ გუნდების დასკვნითმა ასპარეზობამ დიდი ინტერესი გამოიწვია. შეჯიბრება დამთავრდა საქართველოს კალათბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 56:40. ჩვენი რესპუბლიკის კალათბურთელები პირველ ადგილზე გამოვიდნენ. საქართველოს ქალთა გუნდმა წაგო შეხვედრა რიგის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივთან და მესამე ადგილი დაიკავა.

თბილისელ ფეხბურთელთა წარმატება

მიმდინარე სასპორტო სეზონში ნებაყოფლობით სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობის გათამაშება ფეხბურთში გაიმართა ტულაში. საქართველოდან ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ფეხბურთელთა კოლექტივი. თბილისელებმა წარმატებით ჩაატარეს მატჩები და „ბურევესტნიკის“ ჩემპიონი გახდნენ.

რესპუბლიკური ჩემპიონატი ჩოგბურთში

დამთავრდა საქართველოს 1955 წლის პირადი პირველობის გათამაშება ჩოგბურთში. ვაჟთა შორის დასკვნითი ასპარეზობა გაიმართა ურაეკსისა და კოკაიას შორის. ურაეკსკიმ ძლიერად ჩაატარა მატჩი და საქართველოს ჩემპიონი გახდა. ქალთა შორის პირველ ადგილზე გამოვიდა მონაეევა. ვაჟთა წყვილებში გაიმარჯვეს ურაეკსკიმ და ელერდაშვილმა, ქალთა წყვილებში — პუგაევამ და კრასულიამ. შერეულ წყვილთა შორის საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვეს მონაეევამ და ელერდაშვილმა.

ორშაბათს, 25 ივლისს, საღამოს 8 საათზე მოწვეულია **თბილისის მშრომელთა დეპუტატების მეხუთე მოწვევის საქალაქო საბჭოს III სესია.**

სესია შედგება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 8). დეპუტატების რეგისტრაცია იწყობოს იქვე საღამოს 7 საათიდან.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

რედაქტორი ნ. ჯაში.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამოცემლობათა და პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარ სამმართველოსთან არსებული პოლიგრაფიული სკოლა აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1955-1956 სასწავლო წლისათვის.

სკოლაში მიიღებიან ორივე სქესის ახალგაზრდები 17-დან 25 წლამდე, რომლებსაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო ან საშუალო სკოლის კურსი.

სკოლა აშზადებს პოლიგრაფიული მრეწველობისათვის შემდეგი პროფესიის ხელოსნებს: ასოთამწყობებს (ხელით და მანქანით), მბეჭდავებს და მკინძავებს.

სკოლაში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ: ატესტატი (დედანი), დაბადების მოწმობა, ორი ფოტოსურათი, ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ და მოვალეობა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომისაგან.

სწავლების ხანგრძლივობა ორი წელია.

სკოლაში შემომსვლელნი აბარებენ გამოცდებს: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), მათემატიკაში (წერა და ზეპირი) და სსრ კავშირის კონსტიტუციაში არასრული საშუალო სკოლის პროგრამით.

სკოლაში პირველ რიგში ჩაირიცხებიან სამამულო ომში დაღუპულ მეომართა შვილები, ომის ინვალიდთა შვილები და ობლები, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ სათანადო ცნობა სოციალური უზრუნველყოფის რაიონული განყოფილებიდან. ისინი ჩაირიცხებიან სახელმწიფო ხარჯზე.

განცხადება მიიღება სასწავლო ნაწილში 10 აგვისტომდე დილის 9 საათიდან 5 საათამდე, შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური მუსიკალური სკოლა აცხადებს 1955-56 სასწავლო წლისათვის მიღებას შემდეგ განყოფილებებზე:

1. ვოკალური.
2. სორკესტრო — ა) სასულე დარგი — ფლეიტა, ჰობოი, კლარნეტი, ფაგოტი, ვალტორნა, ტრომბონი. ბ) სიმებიანი დარგი — კონტრაბასი.
3. სადირიჟორო-საგუნდო.

ვოკალურ განყოფილებაზე მიიღებიან ახალგაზრდები 17-დან 25 წლის ასაკამდე.

სორკესტრო განყოფილებაზე — 14-დან 17 წლის ასაკამდე.

სადირიჟორო-საგუნდოზე მიიღებიან ახალგაზრდები 14 წლის ასაკიდან, რომლებსაც აქვთ მუსიკალური განათლება არანაკლებ 4 კლასისა.

გამოცდებზე დაიშვებიან ახალგაზრდები, რომლებსაც აქვთ ზოგადი განათლება არანაკლები 7 კლასისა.

განცხადებების მიღება წარმოებს ცენტრალური მუსიკალური სკოლის კანცელარიაში (თბილისი, ითარბეგოვის ქ. № 42, ტელეფონი № 3-01-14) 10 აგვისტომდე დღის 12 საათიდან 5 საათამდე.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: მოწმობები განათლების, ჯანმრთელობის, წლოვანების შესახებ, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ, მშობლების საქმიანობის შესახებ, ავტობიოგრაფია, სამი ფოტოსურათი და დახასიათება სკოლიდან.

რაიონიდან ჩამოსული ახალგაზრდები უზრუნველყოფილნი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და ორჯერადი კვებით.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ცენტრალური მუსიკალური სკოლის კანცელარიაში.

თბილისის IV მუსიკალური სასწავლებლის დირექცია აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1955-56 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე: ფორტეპიანო, ვოკალური (სიმღერა), სორკესტრო განყოფილებაზე: ვიოლინო, ჩელო, ალტი, კონტრაბასი, კლარნეტი, ფლეიტა, საყვირი და საგუნდო-სადირიჟორო.

სასწავლებელში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 14-დან 30 წლის ასაკამდე, რომლებსაც დამთავრებული აქვთ მუსიკალური სკოლა და საერთო განათლების სკოლის 8 კლასი.

სასწავლებელში შემსვლელები გამოცდებს ჩაბარებენ შემდეგ მუსიკალურ საგნებში: სპეციალობა, მუსიკის ელემენტარული თეორია და სოლფეჯიო; ხოლო საერთო განათლების საგნებიდან: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი) და სსრ კავშირის კონსტიტუციაში.

განცხადებები შეტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით: მუსიკალური სკოლის დამთავრების მოწმობა (დედანი), ცნობა საერთო განათლების სკოლიდან, დაბადების მოწმობა (დედანი ან ნოტარიუსის მიერ შემოწმებული პირი), ავტობიოგრაფია, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, სამი ფოტოსურათი, სამხედრო ბილეთი ან პასპორტი (უნდა წარმოადგინონ პირადად).

განცხადებები მიიღება 8 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები მოეწყობა 10 აგვისტოდან.

დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება მომღები კომისიის მდივანთან დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 5 საათამდე.

მისამართი: სამტრედიის ქ. № 127, ტელეფონი 3-60-21.

შვილები თამარ, ციცინო, გრიშიტონ, და ეფროსინე ოჯახებით იუწყებიან
მაკსიმელ სილიბისტროს-ძე ჯორბენაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 22-VII, 8 ს. გამოსვენება 23-VII, 6 ს. ძერჟინსკის ქ. № 3.

მეუღლე ნონა, შვილი ნინო, დავით, ალიკო, შოთა, ამბიბო ოჯახებით იუწყებიან
ვასილ დარიბანის ასულ გოგოძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-VII